



**გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
სპეციალობა: საბანკო საქმე

სამაგისტრო ნაშრომი

**საბანკო რისკები და მისგან დაზღვევის
თანამედროვე მექანიზმები**

სტუდენტი: ნანა ჭინიბოშვილი

ხელმძღვანელი:

თბილისი

2019

ანოტაცია

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და განვითარება წარმოდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, ვინაიდან იგი ასრულებს შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის, პრაქტიკულად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს და გამოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის როლში. საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომელიც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად ითვალისწინებს რისკის მენეჯმენტსა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში.

კომერციული ბანკების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი და შეფასება კრიზისულ პირობებში. წარმატებული დაკრედიტებისთვის ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის სისტემა, რაც ბანკის რისკების მართვის სისტემის ძირეული რეორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. კომერციული ბანკის რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა საპროცენტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც.

კომერციულ ბანკების პროფესულ ცვლლების და ეფექტურ განვითარების ფუნქციონირებისთვის მიზანშეწინილია რეფორმები, რომლებიც შეამცირებს რისკებს რეორგ კრედიტორების, ასევე დეპოზიტორებისთვის რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს კომერციულ ბანკების საქმიანობის გამჭვირვალებას.

Annotation

სარჩევი

შესავალი-----	5
თავი I. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია-----	10
თავი II. რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკებში, მათი შეფასება და მართვის სისტემა-- -----	33
თავი III. საბანკო რისკების დაზღვევის მნიშვნელობა და თანამედროვე სისტემა--	44
დასკვნა-----	57
გამოყენებული ლიტერატურა-----	59
დანართი-----	61

შესავალი

კვლევის აქტულობა. ცნობილია, რომ ზოგადად რისკი არის ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანთა ქმედების კვალობაზე წინასწარ გათვლილი და დაგეგმილი საფრთხე, რომელიც ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობის და სამეურნეო სუბიექტების თანხმლები მოვლენაა. ქვეყნის საბანკო სისტემის რეფორმირების ამოცანები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეფექტიანობის გაზრდისაგან. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა კი პირდაპირ უკავშირდება საბანკო რისკების მართვასა და მათი შეფასების სისტემის თანამედროვე მეთოდების დანერგვას. საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მის გამართულ მუშაობაზე მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობაა დამოკიდებული. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს საბანკო სექტორი წარმოადგენს, საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა. თავის მხრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენს საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისგან, ახორციელებენ მათ გასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღლო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომ ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული

საფინანსო ინსტიტუტის ასევე, მთლიანად სექტორის დონეზე. რისკების იდენტიფიკაციას, მათი ბუნების გამოვლენის საკითხების შესწავლას, მათი მოქმედების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომის მიზანია კომერციული ბანკების რისკების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოკვლევა, ფინანსური კრიზისისა და შედეგების ტენდენციების გამოვლენა ეკონომიკის დაკრედიტების კანონზომიერებებზე, საკრედიტო პოლიტიკაზე, საკრედიტო პოტენციალზე, ბანკების მდგრადობასა და საიმედოობაზე. დასახული

მიზნიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანა: კომერციული ბანკების რისკების წარმოშობის კანონზომიერებებისა და მათი მართვის მექანიზმების თეორიული მასალის ანალიზი და ამ მხრივ საქართველოში არსებული ტენდენციების დადგენა.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები და გამოკვლევები, კანონები და საკანონმდებლო აქტები, თანამედროვე სამეცნიერო კვლევები რისკების მართვის სფეროში, ასევე ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები და სამეცნიერო პროექტების, კონფერენციების და სემინარების მასალები.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე უნივერსალური კომერციული ბანკების საბანკო საქმიანობასთან, საკრედიტო პოლიტიკასთან, სამართლებრივ რეგულირებასთან, საკრედიტო რისკების მართვასთან, საბანკო აუდიტთან, მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებასთან, ანგარიშსწორების სისტემასთან და ა.შ. დაკავშირებით გამოცემული ეროვნული და უცხოური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა საბანკო საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენის და მთლიანობაში ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის სრულყოფის მექანიზმების შემუშავებაში შესაბამის მეგზურობას გაგვიწევს.

- (ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი / რედ. გ. ღვათაძე. – თბ.: უნივერსალი, 2009. – 363 გვ.)-წიგნში საბანკო მენეჯმენტის ფუნდამენტური პრინციპებია განხილული სამამულო და უცხოეთის გამოცდილების საფუძველზე. წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები. მეორე ნაწილში აღწერილია ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი საკითხები. მესამე ნაწილში მოცემულია საბანკო ინოვაციებისა და ცვლილებების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები.
- კაკულია რ. „ საბანკო საქმე „ თბ. 2010 კომერციული ბანკის არსი და მისი საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები, საბანკო მენეჯმენტი, საბანკო მარკეტინგი, კომერციული ბანკის ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, საგადასხდელი ბრუნვის ორგანიზაცია და ბანკთაშორისი საკორესპოდენტო ურთიერთობები, კომერციული ბანკების რესურსები.
- ლამარა ქოქიაურის სახელმძღვანელო (საბანკო საქმიანობის საფუძვლები : (საბანკო საქმე) : 2010წ. 1018 გვ.) წიგნში განხილულია საბანკო საქმიანობის ძირითადი საკითხები ბაზრის პირობებში. მასში გადმოცემულია ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები; პირველად კომპლექსურად შესწავლილი კომერციული ბანკების შექმნის, ლიცენზირების, რეორგანიზაციის, სანაციის და ლიკვიდაციის პრობლემატური საკითხები საქართველოში; აგრეთვე, საბანკო ბაზრის განვითარების კანონზომიერებები; ცენტრალური და კომერციული ბანკების ფუნქციონირების, მათი საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განვითარების საკითხები; შესწავლილია კომერციული ბანკის რესურსები და მათი კაპიტალური ბაზა, ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა; გაანალიზებული შემოსავლები, ხარჯები და მოგება; განსაზღვრულია ბანკების ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა; განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საბანკო მენეჯმენტს, მის შეფასებასა და ხარისხს; საბანკო მარკეტინგის არსსა და ტექნოლოგიას; საბანკო საქმიანობის რეგულირებას; ახლებურადაა განხილული საბუღალტრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია ბანკებში. წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების, უმაღლესი სკოლის პედაგოგების, მეცნიერ-მკვლევარებისა და ბანკების მუშაკთათვის.

- კაკულია რ. „ეკონომიკური დ ფინანსური რისკების მართვა“ თბ. 2012 განხილულია ეკონომიკური რისკი რაობა, სახეები; რისკების მართვის ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკის მართვა; ორგანიზაციების ფინანსების მართვის პრობლემური საკითხები და სხვ.ლუდუშაური ლ. „საბანკო საქმე“ თბ. 2009 წელი
- ლუდუშაური ლ, კრედიტი და თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2002 - სახელმძღვანელოში განხილულია ბანკების წარმოშობისა და საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები - საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში -- საბანკო ბაზარი - ცენტრალური ბანკები - კომერციული ბანკები - საბანკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები - კომერციული ბანკის შექმნა, რეორგანიზაცია, სანაცია და ლიკვიდაცია -- კომერციული ბანკის რესურსები და მისი კაპიტალური გზა - კომერციული ბანკების ოპერაციები (გარიგებები) და საიმედოობა - კომერციული ბანკების შემოსავლები, ხარჯები და მოგება.
- მოსიაშვილი ვ. „საბანკო საქმის საფუძვლები“ თბ. 2010 - ლექციების კურსში ლოგიკური თანამიმდევრობითაა განხილული ეკონომიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: თანამედროვე საკრედიტო სისტემა, განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემები, კრედიტის ფუნქციები და ფორმები, საბანკო საქმის წარმოშობა და განვითარება, ცენტრალური ბანკები, კომერციული ბანკები, საბანკო მარკეტინგი, საბანკო მენეჯმენტი, საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება, საერთაშორისო ანგარიშსწორება, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები, ფინანსური გლობალიზაცია და ოფშორული საბანკო ცენტრები, კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება, საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება კომერციულ ბანკებში. შინაარსის ადვილად აღქმის მიზნით თითოეული თემა დაყოფილია საკითხებად, თითოეული თემის ბოლოს მოტანილია კითხვები თვითკონტროლისათვის და ტესტები შეძენილი ცოდნის შესაფასებლად.
- პროფესორ გიორგი ცაავას მიერ გამოცემულ ნაშრომში (საბანკო საქმე – ლექციების კურსი, თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2005წ., 663გვ.), საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო

სპექტრია განხილული, ისეთი როგორებიცაა: საბანკო საქმიანობის ევოლუცია და ბანკების როლი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, რომელშიც საყურადღებოდ მიგვაჩნია “საბანკო ოპერაციების ნიშნები და პირველი საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში” (გვ. 31), სახელმძღვანელოში სიღრმისეულად არის განხილული საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) და უნივერსალური კომერციული ბანკების ფუნქციონირების, საქმიანობის, ქვეყნის ეკონომიკური რეგულირების, კონტროლის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების, ანგარიშსწორების, პასიური ოპერაციების ფორმირებისა და აქტიური ოპერაციების განხორციელების (მათ შორის ლიზინგური, ფაქტორინგული, სატრასტო და იპოთეკური) ძირითადი პრინციპები. სახელმძღვანელოში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთდ გადმოცემულია კომერციული ბანკების საიმედოობის, ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, მომგებიანობის, ეკონომიკური ანალიზის საკითხები, ფინანსური კოეფიციენტების შეფასების მეთოდები როგორც საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება (გვ. 474 – 586). ნაშრომი მოიცავს თითოეული თავების შესაბამისად დასკვნებს, ტესტებს, ლექსიკონს და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

- პროფესორ გ. ცაავას, თ. აბრამიას, დ. ცაავას თანაავტორობით გამოცემულია სახელმძღვანელო “რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი” – თბილისი, გამომცემლობა “აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია”, – 2007წ. – 567 გვ., სადაც საკმაოდ ორიგინალურად არის განხილული ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მართვის საკითხები და მასში განსაკუთრებული ყურადღება არის დათმობილი საბანკო-საკრედიტო რისკის ანალიზს და შეფასებას, რომელშიც საყურადღებოდ გვესახება: ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის – საბალანსო მონაცემებით განსაზღვრის, საინვესტიციო პროექტების ანალიზის სრულყოფის, იურიდიული და ფიზიკური პირების – მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების საკითხები, რომელთა სიღრმისეული ანალიზი რისკის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

- პროფესორ მათა გოგობიას ნაშრომში: “საბანკო საქმე – ლექციების კურსი” – თბილისი, 2006 წ. – 386 გვ., განხილულია საბანკო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები, მოცემულია საბანკო სისტემის დახასიათება, ამომწურავადაა ჩამოყალიბებული ბანკების მიერ გაწეული მომსახურების ყველა სახეობა, მათ შორის, ბანკების მიერ საერთაშორისო ანგარიშსწორების წესი და თანამედროვე საბანკო პროდუქტები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბანკების საინვესტიო პორტფელის ფორმირებისა და რისკების მართვის აქტუალურ საკითხებს.

თავი I. საბანკო რისკები და მათი კლასიფიკაცია

საბანკო საქმიანობაში რისკი აღნიშნავს იმის ალბათობას, რომ მოხდება მოვლენა, რომელიც არასასურველად აისახება ბანკის მოგებაზე ან კპიტალზე. საბანკო რისკის განსაზღვრის საკითხი საკამათოა. ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება საბანკო რისკის, როგორც ბანკის შესაძლო ზარალის განმარტებას და რისკს განსაზღვრავს როგორც გადაწყვეტილების მიღების ისეთ სიტუაციას, რომელსაც ინფორმაციის გაურკვეველობა ახასიათებს. აქედან, საბანკო რისკი იმ ინფორმაციის გაურკვეველობით წარმოქმნილი სიტუაციაა, რომელსაც ბანკი იყენებს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. არსებობს

საბანკო რისკების მრავალი სხვადასხვა კლასიფიკაცია. მათი ძირითადი კრიტერიუმების განხვავებიდან გამომდინარე, ამ კლასიფიკაციებს აერთიანებს ის, რომ საკრედიტო და საპროცენტო რისკებს ბანკებისთვის ძირითადი რისკების სახეებს მიაკუთვნებენ. პირველ სტემაზე მოცემულია რისკების შედარებით სრული კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციაში რისკები და ფაქტორები, რომლებიც მათზე მოქმედებენ გაყოფილი არ არის, შესაბამისად, მაგალითად, სავალუტო და საბაზრო რისკების შიდა რისკებისათვის მიკუთვნება, სადაოს წარმოადგენს.

ცხრილი N1. საბანკო რისკების კლასიფიკაცია¹

კრიტერიუმი	რისკი
რისკის მოქმედების სფერო	შიდა: საკრედიტო, პროცენტული, სავალუტო საბაზრო, საფინანსო მომსახურების და სხვ. გარეშე: (საერთაშორისო, ქვეყნის, რეგიონული); სადაზღვევო, სტიქიური უბედურებები, საკანონმდებლო(სამართლებრივი), კონკურენტული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, გადარიცხვების, საორგანიზაციო, დარგობრივი და სხვ.
ბანკის კლიენტების შემადგენლობა	კლიენტის კრედიტუნარიანობა: წვრილი, საშუალო, მსხვილი
რისკის მასშტაბი	საერთო: კლიენტის, ბანკის
რისკის ხარისხი (დონე)	კერძო (ცალკეული ოპერაციების მიხედვით), სრული, ზომიერი, დაბალი
რისკების განაწილება დროში	წარსული (რეტროსპექტიული), მიმდინარე, მომავლის (პერსპექტიული)
ოპერაციის აღრიცხვის ხასიათი	საბალანსო, ბალანსგარეშე
რეგულირების შესაძლებლობა	ღია. დახურული

რისკის მიზნები მეტად მრავალფეროვანია: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო დავალიანების ზრდა, ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის დანახარჯების ზრდა და სხვა.

როგორც საზღვარგარეთული პრაქტიკა მოწმობს, რისკის შინაარსობრივი მხარე და მისი დადგენის ხერხები მუდმივ მოდიფიკაციას განიცდის. ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს, რომელთა შორის შემდეგი ჯგუფები შეგვიძლია გამოვყოთ:

- I. პროცენტების სიდიდის რყევა, რასაც განაპირობებს გარე ფაქტორები: კონიუნქტურა, ფულის პოლიტიკა, არასაბანკო კონკურენციის გაძლიერება.

¹ მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები თბ., 2012 გვ.40

- II. ბაზრის სტრუქტურის ცვლილება: კონკურენციის გამწვავება; ბანკების უნივერსალიზაცია; განყოფილებათა ექსპანსია; კლიენტების სტრუქტურის გათანაბრება.
- III. კლიენტთა მოთხოვნების ამაღლება, რაც გამოიხატება ფასების მგრძობელობის ზრდაში და საბანკო მომსახურებაზე უფრო დიფერენცირებულ მოთხოვნაში.
- IV. ბანკების დანახარჯების ზრდა.
- V. ტიპური საბანკო რისკების მნიშვნელობის მატება და რაოდენობრივი ზრდა, რომლებიც ყოველთვის არსებობს (საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი და სხვა).
- VI. ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაგნაციის ტენდენციები, რომლებსაც ბანკების საკუთარი განვითარებისთვის აქვთ მნიშვნელობა.

ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მხრიდან საბანკო რისკების ეფექტიანი რეგულირებისათვის აუცილებელია ერთიანი კლასიფიკაცია. საბანკო რისკების კლასიფიკაციისადმი მიდგომები განსხვავებულია. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, საბანკო რისკების ეკონომიკური კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს შემდეგი მნიშვნელოვანი ელემენტები: 1) კომერციული ბანკის ტიპი და სახეობა; 2) საბანკო რისკის გავლენისა და წარმოშობის სფერო; 3) ბანკის კლიენტთა შემადგენლობა; 4) რისკის გაანგარიშების მეთოდი; 5) საბანკო რისკის დონე; 6) რისკის განაწილება დროში; 7) რისკის აღრიცხვის ხასიათი; 8) საბანკო რისკის რეგულირების შესაძლებლობა; 9) ამ რეგულირების მეთოდები.

საბანკო დანესებულებების რისკების სტრუქტურის შესწავლისადმი მეორე მიდგომა ეფუძნება მათ დაყოფას ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებად. თავის მხრივ, ერთიცა და მეორეც შეიძლება იყოს შიდა და გარე. გარე რისკები უშუალოდ არ უკავშირდება ბანკის საქმიანობას. მათ დონეზე გავლენას ახდენს ფაქტორთა ძალიან დიდი რაოდენობა - პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა. შიდა რისკებს თვითონ ბანკის, მისი კლიენტების (მსესხებლების) ან კონკრეტული კონტრაქტების საქმიანობა განაპირობებს.

ყველაზე გავრცელებული მიდგომების მიხედვით, საბანკო რისკები სამ ძირითად (გამსხვილებულ) კატეგორიაში ერთიანდებიან: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები. საკრედიტო რისკებს განეკუთვნება ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგების რისკი; საბაზრო რისკებს განეკუთვნება საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებით გამოწვეული რისკები; საოპერაციო რისკებს კი განეკუთვნება დანაკარგის ან სანქციის რისკი, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიდა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით.

საბანკო რისკების ტრადიციული სტრუქტურა გულისხმობს შიდა და გარე რისკების გამოყოფას. გარე რისკები ორ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი - ლიკვიდობის რისკები; II ჯგუფი - წარმატების რისკები.

ლიკვიდობის რისკები მოიცავს: პროლონგაციის რისკი, როდესაც ანაბრებს მათ ვადამდე იწვევენ უკან (დეპოზიტური რისკი); ახალი, დაუგეგმავი კრედიტების რისკი; საქმიანობის ახალ სახეობათა რისკები: ფაქტორინგული, ლიზინგური, საბაზრო და სხვა რისკები.

წარმატების რისკებს ეკუთვნის: დარგობრივი რისკი; ქვეყნის რისკი; საპროცენტო რისკი; სავალუტო რისკი; სხვა რისკები. არსებობს საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მრავალი განსხვავებული კასიფიკაცია, მაგრამ რისკები ჩვეულებრივ იყოფა 3 კატეგორიად, რომლების ქვერისკებად იყოფიან:

- ფინანსური რისკები;
- ფუნქციონალური რისკები;
- ბანკის მიმართ სხვა საგარეო რისკები.

ხშირად გამოყოფენ ხოლმე საფინანსო რისკს. მისი შინაარსი სხვადასხვა სტრუქტურულ კლასიფიკაციაში სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში საფინანსო რისკი მოიცავს საკრედიტო რისკს და არალიკვიდობის რისკს; სხვა შემთხვევებში - ამას

გარდა კიდევ საფინანსო რისკსა და კაპიტალის სტრუქტურის რისკს. დამოუკიდებლად განიხილავენ საპროექტო საბანკო რისკსაც. ესაა რთული რისკი, რომელიც, თავის მხრივ, სამგვარი რისკებისგან შედგება:

1. ცალკე მდგომი რისკი, ე.ი. რისკი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თვითონ პროექტს უკავშირდება და მსესხებელზე არაა დამოკიდებული;

2. ფირმის შიდა რისკი;


3. საბაზრო ანუ საპორტფელი რისკი, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული პროექტი ბანკის საერთო საპროექტო პორტფელს - ეხმარება საბანკო კრედიტების დივერსიფიცირებას თუ ზრდის მათ კონცენტრაციას გარკვეულ დარგზე, გადახდათა ვადების კატეგორიებზე და ა.შ. შიდა რისკებს განაპირობებს ბანკების საქმიანობის ტექნიკურ-ორგანიზაციული მხარე-მენეჯმენტი:

1) პერსონალური სახის რისკები (თანამშრომელთა რისკები), ე.ი. საკადრო რისკები. რაოდენობრივს უწოდებენ ყველა იმ რისკს, რომელიც თანამშრომელთა მოძიებას და სამუშაოში ჩარევას უკავშირდება. ხარისხობრივი რისკები უკავშირდება პროფესიულ დონესა და ხასიათის თვისებებს.


2) მატერიალურ-ტექნიკური სახის რისკები, რომლებიც უკავშირდება ბანკების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მის დონეს;

3) სტრუქტურულ-პროცესუალური რისკები წარმოდგენილია პირველი და მეორე სახის რისკების ურთიერთქმედებით. მათგან გამოყოფენ განსაკუთრებულ რისკებს.

სქემა N1. საბანკო რისკები წარმოშობის მიხედვით²



² ი. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014 გვ.487



მიუხედავად იმისა, რომ ბანკების საქმიანობა მრავალრიცხოვან რისკებს აწყდება, მათი კრახის მიზეზები, ჩვეულებრივ, შემდეგი გარემოებებითა განპირობებულია: სერიოზული შეცდომები, რომლებიც ბანკის ხელმძღვანელებს მოსდის საპროცენტო პოლიტიკის გააზრებისას, საკრედიტო პორტფელის შედგენისას, ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლოვანებები, საკადრო რისკები. საბანკო რისკების კლასიფიკაციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ის საბანკო კრიტერიუმები, რომლებიც საბანკო რისკების საკლასიფიკაციო სტრუქტურას უდევს საფუძვლად.

საბანკო

საქმიანობაში არსებობს რისკების სხვადასხვა ტიპები, რომელთა შორის ძირითადად გამოყოფენ: ფინანსურ, ფუნქციონალურ და სხვა გარეშე რისკებს.

ფინანსური რისკები დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებასთან აქტივებისა და პასივების მოცულობაში, შემოსავლიანობაში, ღირებულებასა და სტრუქტურაში. ფუნქციონალური რისკი დაკავშირებულია ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევის პროცესთან და მას ადგილი აქვს ნებისმიერი ბანკის საქმიანობისას. როგორც წესი, საბანკო სისტემაში ფუნქციონალური რისკების აღმოცენება იმის შედეგია, რომ შეუძლებელია დროულად და სრული მოცულობით გაკონტროლდეს საფინანსო სამეურნეო პროცესი, შეგროვდეს და გაანალიზდეს შესაბამისი ინფორმაცია. ისინი ფინანსურ რისკებზე არანაკლებ საშიშია, თუმცა უფრო ძნელია მათი იდენტიფიცირება და რაოდენობრივად განსაზღვრა. საბოლოო ანგარიშით, ფუნქციონალურ რისკებს მიეყვართ ფინანსურ დანაკარგებამდე.

ფინანსური რისკებიც

განეკუთვნება საკრედიტო რისკებს. ფართო გაგებით, საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური დანაკარგების შესაძლებლობას იმის შედეგად, რომ კონტრაგენტებმა, პირველ რიგში მსესხებლებმა, არ შეასრულეს ვალდებულებები. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოემყვას თავის კლიენტებთან (შემდგომში – დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ³.

საკრედიტო რისკი შესაძლოა ნიშნავდეს არამართო ფორმალური, არამედ არაფორმალური ვალდებულებების დარღვევას პარტნიორის, მსესხებლის ან ემიტენტის მიერ. მან შეიძლება მიგვიყვანოს როგორც რეალურ, ისე წმინდა ნომინალურ დანაკარგებამდე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დარგობრივი რისკი, რომელიც დაკავშირებულია გაურკვევლობასთან მსესხებლის დარგის განვითარების პერსპექტივებთან მიმართებით და მსესხებლის ადგილმდებარეობის ქვეყნის რისკი, უკანასკნელს ადგილი აქვს უცხოელი მსესხებლების დაკრედიტებისას და განპირობებულია რისკის ფაქტორების მოქმედებით, რომლებიც მიეკუთვნება

³ ი. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014 გვ.488

ქვეყანას, სადაც მსესხებელი იმყოფება. საკრედიტო რისკი ცხადად წარმოჩინდება დაკრედიტებისას, ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებისას, ბანკთაშორისი ოპერაციებისას, სავალუტო ოპერაციებისას, მუშაობისას გარანტიებთან და თავდებობებთან, სადილერო საქმიანობაში.

ბანკის ღირეფტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისა და პროცედურების შემუშავებისათვის, რომელთა საფუძველზეც მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკამ და პროცედურებმა, თუ ისინი სწორად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.

ბანკმა უნდა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვასა და ამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიაროს, ამასთან, წინასწარ უნდა იქნეს მიღებული რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციები ან ღირეფტორატის თანხმობა.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 26.6 მილიარდ ლარს მიაღწია და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე მისი წლიური ზრდა 17.7 პროცენტი იყო. იხ დიაგრამა N1 2018 წელს საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა სეგმენტების ჭრილში მცირედით შეიცვალა, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების წილის ზრდით გამოიხატა. (იხ. ცხრილი N1) გასული წლის განმავლობაში მოხდა რამდენიმე, მათ შორის ტექნიკური ხასიათის, სახის რეკლასიფიკაცია, რამაც სეგმენტების ზრდის ნომინალური მაჩვენებელი შეცვალა⁴.

ეროვნული ბანკის შეფასებით, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით და

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი -წლიური ანგარიში 2018 გვ. 88-89

ზემოთ მოცემული რეკლასიფიკაციის გარეშე, საცალო სეგმენტი, მცირე და საშუალო პორტფელი და კორპორატიული პორტფელი, შესაბამისად, 18.6, 18.8 და 17.4 პროცენტით გაიზარდა. ასევე, 2018 წლის მანძილზე გაიზარდა სხვადასხვა კორპორატიული კლიენტების კომერციული ბანკების მიერ შესყიდული ფასიანი ქაღალდების მოცულობა; ამ შესყიდვების ეფექტის გათვალისწინებით, კორპორატიული სეგმენტის პორტფელის ზრდა 17.9 პროცენტს შეადგენს.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები კორპორატიული სესხებზე სტაბილური იყო, ხოლო მცირე და საშუალო საცალო სესხებზე განაკვეთების კლება დაფიქსირდა. საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა როგორც უცხოური ვალუტით, ისე ლარით გაცემული სესხებისთვის, თუმცა საცალო სეგმენტისთვის ძირითადი მამოძრავებელი ფეროს სესხებზე საპროცენტო განაკვეთების საგრძნობი ვარდნა იყო.

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. 2018 წლის მანძილზე პროციკლური სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა, ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა, ავტომობილების დილერები) წილი საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში კვლავ ზომიერი და სტაბილური იყო (იხ. დიაგრამა N 4). ზოგიერთ სექტორში შესაძლო დანაკარგების რეზერვის მაღალი მოცულობა, უმთავრესად, განპირობებულია იდიოსინკრატიული⁴⁵ შემთხვევებით (იხ. ცხრილი N 2).

საპროცენტო რისკის კუთხით ფინანსური სისტემისთვის რისკი გრძელვადიან პერიოდში საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში მდგომარეობს, რაც შეამცირებდა საპროცენტო შემოსავლებს. საპროცენტო რისკს საქართველოს შემთხვევაში არ აქვს სისტემური მნიშვნელობა, რადგან საქართველოს ფინანსური სისტემა ნაკლებად იყენებს რთულ საბაზრო ინსტრუმენტებს და შესაბამისად ნაკლებად არის დამოკიდებული ფინანსური ბაზრის რყევებზე.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ

კატეგორიებად დაიყოს:

ა) საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით; ბ) დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.

ლიკვიდობის რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ.

ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

ლიკვიდობის რისკი ბანკის უნარია დროულად დააკმაყოფილოს მენაბრეებისა და კრედიტორების მოთხოვნები. ლიკვიდობის რისკი განპირობებულია იმით, რომ ბანკი შეიძლება იყოს არასაკმარისად ლიკვიდური, ან ზედმეტად ლიკვიდური. არასაკმარისი ლიკვიდობის რისკის პირობებში ბანკი უძლურია დროულად შეასრულოს მისი ვალდებულებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ცალკეული აქტივების გაყიდვა არახელსაყრელი პირობებით. ჭარბი ლიკვიდობის რისკი არის ბანკის შემოსავლების დაკარგვის რისკი მაღალლიკვიდური აქტივების სიჭარბის გამო და როგორც შედეგი დაბალშემოსავლიანი აქტივების გაუმართლებელი დაფინანსება, ბანკისთვის გადასახდელი რესურსების ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ლიკვიდობა წარმოადგენს კომერციული ბანკის უნარის საზომს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ თავისი კლიენტების მიმდინარე მოთხოვნილებები, არამედ მსესხებლების ნებისმიერი კანონიერი მოთხოვნილებები. ლიკვიდობის რისკი მოიცავს: პროლონგაციის რისკს, როდესაც ანაბრებს მათ ვადამდე იწვევენ უკან (დეპოზიტური რისკი). ახალი, დაუგეგმავი კრედიტების რისკი; საქმიანობის ახალ

სახეობათა რისკებს; ფაქტორინგული, ლიზინგური, საბაზრო და სხვა რისკებს. ლიკვიდობაზე მოქმედებს არასწორი გადანაცვები და კრედიტების სფეროში, საპროცენტო განკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილებები ან ცვლილებები ეკონომიკაში მთლიანად. პრაქტიკულად ნებისმიერი საბანკო ოპერაცია ზემოქმედებს ლიკვიდობაზე, მაგრამ არსებითია ის, რომ ბევრ შემთხვევაში ბანკის ლიკვიდობის განმსაზღვრელი ფაქტორები, მისი კონტროლის საზღვრებს მიღმა იმყოფება. ბანკის ლიკვიდობა წარმოდგება ტერმინისაგან აქტივების ლიკვიდობა. ლიკვიდობა აღნიშნავს აქტივის უნარს, რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გადაიქცეს ნაღდ ფულად. ეს, თავის მხრივ, ორი ფაქტორით განისაზღვრება:

- სისწრაფით, რომლითაც აქტივები შეიძლება გადაყვანილ იქნეს ნაღდ ფულში;

- ბრუნვადობით აქტივების რეალური ღირებულების შენარჩუნების ხარისხით, მათი ნაღდ ფულად იძულებით გადაქცევისას.

ბანკის უნარი, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ბევრად განისაზღვრება მისი აქტივების ლიკვიდობით, მაგრამ ეს ცნება უფრო რთულია ვიდრე აქტივების ლიკვიდობა და მას განაპირობებს სამი ფაქტორი:

- აქტივების ლიკვიდობა;
- პასივების მდგრადობა;
- ფულადი სახსრების მოძრაობა;

საბოლოო ანგარიშით, არასაკმარის ლიკვიდობას მივყავართ საკრედიტო ორგანიზაციის გადახდისუნარიობამდე და კრიზისამდე. თუ საკრედიტო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა დროულად თავისი ვალდებულებები მენაბრეების მიმართ და ამის შესახებ გახდა ცნობილი, ამას მოჰყვება დეპოზიტებიდან და ანგარიშსწორების ანგარიშებიდან ნაშთების ზეგავისებური გადინება, რასაც მივყავართ უკვე პრინციპულ გადახდისუნარიობამდე. ლიკვიდობის

რისკის გამოვლა ძალიან რთულია იმის გამო, რომ ბანკის ლიკვიდობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან ბევრზე თვით ბანკს გავლენის მოხდენა არ

შეუძლია. პრაქტიკაში გამოიყენება რიგი მაჩვენებლებისა, რომელთაგან თითოეული ახასიათებს ერთ მომენტთაგანს, რომელიც ბანკის ლიკვიდობას განსაზღვრავს. პირველ, ყველაზე მეტად ცნობილ ჯგუფს მაჩვენებლებისა მიეკუთვნება ბალანსის ლიკვიდობის კოეფიციენტი. ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებელმა ფართო გავრცელება ჰპოვა თავისი გამოყენების შედეგებით სიიოლის გამო. ამასთან მას აქვს ერთი პრინციპული ნაკლი. მოცემული მიდგომისას ბანკს განიხილავენ არა როგორც ფუნქციონირებად ორგანიზაციას, არამედ-ლიკვიდაციისათვის მზადყოფი აქტივებისა და პასივების პორტფელის სახით. მსგავსი დაშვება სავსებით მისაღებია ბანკის საგარეო ანალიზისათვის საზედამხედველო ორგანოებისა და ინვესტორების მიერ, მაგრამ აბსოლუტურად არ შეესაბამება ბანკის შიგნით მმართველობით მიზნებს. ამ შემთხვევაში ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი აუცილებლად უნდა შეივსოს ფულადი სახსრების მოძრაობის განხილვითა და შეფასებით. ამასთან, ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს სახრების მოდინებას, გადინებას და სხვაობას პირველსა და უკანასკნელს შორის, ცალკეულ მუხლებად დაყოფით. ყველაზე მარტივ კოეფიციენტს, რომელიც ახასიათებს მხოლოდ აქტივების ლიკვიდობის ხარისხს, წარმოადგენს თანაფარდობა ლიკვიდურ აქტივებსა და საკრედიტო ორგანიზაციის ჯამურ აქტივებს შორის. იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს პასივების მდგრადობა, გამოიყენება კოეფიციენტი, რომლებიც წარმოადგენს ლიკვიდური აქტივების თანაფარდობას ყველაზე არამდგრად პასივებთან. სხვა კოეფიციენტებს, რომლებიც ახასიათებს ლიკვიდობას, მიეკუთვნება თანაფარდობა ყველაზე დაბალლიკვიდურ აქტივებსა და ყველაზე მდგრად პასივებს შორის; თანაფარდობა ლიკვიდურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, კრედიტებსა და დეპოზიტებს შორის და სხვა.

ფასობრივი რისკი. ფასობრივი რისკი მოიცავს რისკების მთელ ჯგუფს, რომლებიც ფუქიმდებლურ რისკებს მიეკუთვნება. ფასობრივი რისკები დაკავშირებულია ბანკის შემოსავლიანობის ან

ვალდებულებებისა და აქტივების ღირებულებების გაუთვალისწინებელ ცვლილებათა შესაძლებლობასთან. ფასობრივ რისკში შედის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, საბაზრო და სავალუტო რისკები.

- საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი უკავშირდება საკრედიტო დაბანდებებს, აგრეთვე ვალდებულებებს;

- საბაზრო რისკს უწოდებენ აქტივების საბაზრო ღირებულების ცვლილების რისკს;

- სავალუტო რისკს ადგილი აქვს, როცა ვმსჯელობთ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებსა და პასივებზე ფასების ცვლილების რისკზე;

სავალუტო რისკსა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკს მათი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის გამო საბანკო საქმეში ჩვეულებრივ ცალკე გამოყოფენ, ფასობრივ რისკებს მიაკუთვნებენ მხოლოდ რისკებს, დაკავშირებულს ფასების ცვლილებასთან დანარჩენ აქტივებზე, უპირველეს ყოვლისა ფასიან ქალაქებზე.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი. ცნობილია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი, რომელიც ბანკის მოგებაზე უარყოფითად მოქმედებს. საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამომწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი აღმოცენდება, როგორც მათი ცვალებადობის შედეგი და წარმოადგენს მოვლენას, რომელსაც ყოველთვის აქვს ადგილი საბაზრო ეკონომიკაში. საპროცენტო განაკვეთები აქტიური და პასიური ოპერაციების, აგრეთვე ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით განსხვავდება. ამასთან მათ შორის არის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ საპროცენტო განაკვეთების საერთო სტრუქტურაზე. მაგალითად, როცა განაკვეთებს დეპოზიტზე აქვს შემცირების ტენდენცია, ეცემა პირდაპირი მსესხებლის დაკრედიტების განაკვეთებიც.

- რაც უფრო განვითარებულია ფინანსური ბაზრის მექანიზმი, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება აღნიშნული კანონზომიერება;
- რაც უფრო რთულდება ფინანსური ბაზარი და იზრდება კონკურენცია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი საბანკო საფინანსო მენეჯმენტის მით უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი ხდება;
- თუ საპროცენტო განაკვეთები მცირდება, ბანკს ხელი მიუწვდება უფრო იაფ ფონდებზე, მაგრამ სახსრებსაც განათავსებს, იღებს რა ნაკლებ შემოსავალს. როდესაც შეიმჩნევა უკუტენდენცია, მაშინ შემოსავალი აქტიური ოპერაციებიდან იზრდება, მაგრამ იზრდება რესურსებზე საფასური.

ამგვარად, მსგავსად ლიკვიდობის რისკისა ნებისმიერი ბანკი განიცდის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს. ბანკს შეუძლია გადაიტანოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის ნაწილი კლიენტებზე. მაგრამ, მსგავსი პოლიტიკის მიზანშეწონილობის განსაზღვრას, რომელსაც უწოდებენ "აგრესიულს", ხელმძღვანელობენ ორი მოსაზრებით. პირველი ეხება ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის ინტენსივობას. თუ კლიენტისათვის რთულია გამოიყვანოს ბანკი, მაშინ საპროცენტო განაკვეთების დაცემის მოლოდინში მყარდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზე, ხოლო საპროცენტო განაკვეთების ზრდის მოლოდინისას-ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ვადიან ანაბრებსა და დეპოზიტებზე. მეორე მოსაზრება საპროცენტო განაკვეთების მართვის სტრატეგიის კუთხით ერთი შეხედვით არც ისე ცხადია. გადააქვს რა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის დიდი ნაწილი მსესხებლებზე, ბანკი გასწევს რისკს, გამოიწვიოს მისი გადახდისუუნარობა და ასეთნაირად დაკარგოს გაცილებით მეტი. საფინანსო დაწესებულებებს აქვთ გაცილებით მეტი შესაძლებლობები, მართონ რისკის აღნიშნული სახეობა⁵.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი.

⁵მ. გელაშვილი, რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N 2, 2018. გვ.85-86

დაკავშირებულია უცხოური ვალუტების გამოყენებით აქტივების ფორმირებასა და ნასესხები სახსრების მოზიდვასთან. იგი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: სავალუტო რისკზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და პოლიტიკური მოვლენები, სავალუტო რეგულირების პოლიტიკაში ცვლილებები, სოციალური დაძაბულობის ხარისხი და სხვა. შეიძლება გამოვყოთ სავალუტო რისკის სამი ძირითადი შემადგენელი:

1. გაცვლითი კურსის ცვლილების რისკი, რომელიც გამოწვეულია გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებელი ცვლილებით.
2. კონვერტირების რისკი, რომელიც დაკავშირებულია გაცვლითი ოპერაციების შეზღუდვებთან.
3. ღია სავალუტო პოზიციის რისკი, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში და მისი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ერთმანეთს არ შეესაბამება.

”სავალუტო რისკი - ეს არის დანაკარგების საშიშროება, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან. მათი ყიდვა-გაყიდვის გარიგების განხორციელებისას სავალუტო რისკის წარმოშობა დამოკიდებულია ”სავალუტო პოზიციის” მდგომარეობაზე. ე.ი უცხოური ვალუტის გაყიდვაზე, მოთხოვნასა ვალდებულებებს შორის თანათარღობაზე.”⁶

”სავალუტო

რისკის საკითხები და მათი დაზღვევის მეთოდები მეტად აქტუალურია საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. უცხოურ ვალუტათა კურსები ცვალებადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მათ სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე შესამჩნევ გავლენას ახდენს. საწარმოების სავალუტო ფონდებში დანარიცხების მოცულობის გადიდების შესაბამისად იზრდება ჯამური საკურსი დანაკარგებიც და სავალუტო რისკის შეზღუდვის მეთოდების ამორჩევის საკითხები სულ უფრო

⁶მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები თბ., 2012. გვ.263.

რისკის კუთხით სავალუტო რისკმა შეიძლება მიგვიყვანოს ლიკვიდობის კრიზისამდე. სავალუტო რისკს ადგილი აქვს უცხოური ვალუტით ყველა საბალანსო და გარებალანსური ოპერაციისას. მაგრამ საკრედიტო ორგანიზაციას შეუძლია უმნიშვნელო გავლენა მოახდინოს თავად რისკის ფაქტორებზე, და შედეგად, მას ისლა დარჩენია, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები, დროულად განსაზღვრავს რა რისკს და ზღუდავს მის შესაძლო შედეგებს.

სავალუტო რისკი საქართველოს საბანკო სისტემის მგრძობელობა სავალუტო რისკის მიმართ მაღალი რჩება. საშუალოვადიან პერიოდში ლარიზაცია მზარდია, თუმცა უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის მიმდინარე მიდგომების სრულყოფის მიმართულებით. გასულ წელს გადაიხედა ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის გადაფასების აღრიცხვის მიდგომები და ის შემდეგ 2 წელში სრულად დაუახლოვდება საერთაშორისო პრაქტიკას. კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასებას, ასევე, ბანკების შიდა მოდელების დახვეწას. ეს პროცესი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაზრდილი მერყეობის ფონზე. თუ არსებული მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ სავალუტო პოზიციას განვიხილავთ, სისტემის დონეზე ის საკმაოდ დაბალანსებულია. თუმცა, რადგან აღნიშნული პოზიციის დათვლისას აქტივებში მიმდინარე პერიოდში კვლავ გაითვალისწინება მთლიანი (და არა წმინდა) სესხები და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნილია ლარით, ბანკების რეალური პოზიცია მოკლეა⁸.

შედეგად, ლარის კურსის გაუფასურებისას, რეზერვების გადაფასების გათვალისწინებით, ბანკები ჯამურად ზარალდებიან. დამატებით, რადგან სააქციო

⁷ მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები თბ., 2012. გვ.263-264

⁸ საქართველოს ეროვნული ბანკი -წლიური ანგარიში 2018 გვ. 102-103

კაპიტალი ლარით არის დენომინირებული, ლარის გაუფასურების დროს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების გადაფასება მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს და ამ რისკის მიმართ ბანკებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის. ცალკე საკითხია კურსის მერყეობით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რომელიც ფინანსური სექტორის მთავარ გამოწვევად რჩება და წლიური ანგარიშის საკრედიტო რისკების ნაწილში ვრცლად არის განხილული.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის ბანკის ბალანსური და გარებალანსური პოზიციის მიხედვით საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციების რისკებს. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საქმიანობისგან, როგორცაა ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით, სესხების გაცემით, სავალო ინსტრუმენტების გამოცემით, ვაჭრობის დაფინანსებით და სხვ.

საბაზრო რისკი განპირობებულია იმ საბაზრო ფაქტორთა შესაძლო ზემოქმედებით, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების, პასივების ან გარებალანსური მუხლების ღირებულებაზე. რიგ შემთხვევაში ტერმინი "საბაზრო რისკი" უტოლდება ცნებას "ფასობრივი რისკი". ეს ხდება, როდესაც ფასობრივი რისკის თანასწორ ჯგუფად გამოიყოფა ცნება სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი, და ფასობრივი რისკის ძირითად შემადგენლად წარმოჩნდება საბაზრო რისკი. ასეთი მიდგომისას კლასიფიკაციისადმი ტერმინები "საბაზრო რისკი" და "ფასობრივი რისკი" სინონიმები ხდებიან. საბაზრო რისკის განსაზღვრის სიზუსტეზე აგრეთვე მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებადი წესები. ყველაზე უფრო ცხადი ის ხდება, რომ საფინანსო ინსტიტუტი აფასებს თავისი ბალანსის მუხლების ღირებულებას, გამომდინარე საბაზრო ღირებულებიდან ყოველი სამუშაო დღის ბოლოსათვის მდგომარეობით. აქტივების ყოველდღიურად საბაზრო ღირებულებით შეფასების პრაქტიკის გამოყენების

მომხრეები თვლიან, რომ ეს მეთოდი უფრო სწორად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას. მაგრამ ბანკებთან მიმართებით მსგავსი პრაქტიკა ძვირადღირებულია, ხოლო მისი უპირატესობები მით უფრო მცირეა, რაც უფრო გრძელ პოზიციას იკავებს საფინანსო ინსტიტუტი.

ბანკები მიდრეკილი არიან საბაზრო რისკისადმი ორი მიზეზის შედეგად. ჯერ ერთი, მათი ბალანსის მუხლების, პირველ ყოვლისა, აქტივების, და მათგან, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოცულობის ცვლილების რისკის შედეგად. მაგრამ ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების შემცირებასაც შეიძლება მოჰყვეს დამატებითი ხარჯები მათი ახალი ემისიისას.

რისკის მეორე მიზეზი, დაკავშირებული აქტივების საბაზრო ღირებულების შეფასებასთან, მდგომარეობს ძირითადი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრაში. ძირითადი ფონდების ღირებულების გადაფასება ხორციელდება პერიოდულად და როგორც წესი, არცთუ ადეკვატურად ასახავს მიმდინარე საბაზრო ღირებულებასაც კი. ყველაზე მეტად ბანკები მიდრეკილი არიან რისკის აღნიშნული ფაქტორისადმი კონტრაგენტების ბიზნესის ღირებულების შეფასებისას საკრედიტო ოპერაციების განხორციელების დროს, სპეციალიზებული დაფინანსებისას და ინვესტირებისას.

ინფლაციის რისკი. ინფლაციის რისკი არაერგვაროვან ზემოქმედებას ახდენს ბანკზე. ყველაზე უფრო სწრაფად წარმოჩინდება ინფლაციის უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც გამოიხატება საბანკო აქტივების გაუფასურებით, რომელთა უმეტესობას წარმოადგენს ფულადი სახსრები და საფინანსო დაბანდებები. ბანკი გასცემს კრედიტს და ბრუნდება განსაზღვრული დროის შემდეგ ინფლაციით გაუფასურებულ ფულად ერთეულებში. მაღალ ინფლაციას საბანკო შემოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდაც შეუძლია, თუმცა ეს ხანდახან არც არის აშკარა. თავისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ბანკებს ჩვეულებრივ აქვთ საუკეთესო შანსები აღმოჩნდნენ მოგებულთა რიცხვში ფულადი მასის მოცულობის სწრაფი ზრდისას, ამასთან როგორც ბანკთაშორისი ოპერაციების ხარჯზე, ასევე კლიენტების დაკრედიტებისას საკრედიტო მულტიპლიკატორის მოქმედების ხარჯზე.

შემოსავლიანობაზე ინფლაციის ხელსაყრელი მოქმედების მეორე ფაქტორი ვლინდება სავაჭრო-საშუამავლო ფონდების რიცხვიდან მსესხებლების გადახდისუნარიანობის მკვეთრი ზრდით.

გადახდისუნარიანობის რისკი. მოცემული რისკი წარმოადგენს თითქოსდა წარმოებულს სხვა დანარჩენი რისკებისაგან. ის დაკავშირებულია იმის საშიშროებასთან, რომ ბანკი ვერ შეძლებს, შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რადგან დაგროვილი დანაკარგებისა და ზარალის მოცულობა გადააჭარბებს მის საკუთარ კაპიტალს. არასაკმარის ლიკვიდობას თავდაპირველად მივყავართ მხოლოდ დროებით ტექნიკურ გადახდისუნარიანობამდე, რაც გამოიხატება სადებეტო სალდოს წარმოქმნით საკორესპონდენტო ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში. ბანკის რეალური გადახდისუნარიანობა პირდაპირაა დაკავშირებული ისეთ ცნებასთან როგორცაა გაკოტრება, უარყოფითი საკუთარი კაპიტალი გვიჩვენებს, რომ ყველა აქტივის რეალიზაციის შემთხვევაშიც კი სახსრები არ იქნება საკმარისი კრედიტორებთან ანგარიშსწორებისათვის.

ფუნქციონალური რისკები.

ფუნქციონალური რისკები რიგი სიტუაციებისას აღმოცენდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი გამოვლენა და გამოხატვა ფულად ერთეულში უფრო რთულია, ვიდრე ფინანსური რისკებისა. ისინი განპირობებულია სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით. როგორც წესი, საკრედიტო ორგანიზაციები ცდილობდნენ ფუნქციონალური რისკების მინიმიზებას შიდა აუდიტის განვითარების, დოკუმენტბრუნვის სრულყოფის, ცალკეული ოპერაციების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და შიდა მეთოდის დამუშავების გზით, აგრეთვე თავისი ოპერაციების სარესურსო უზრუნველყოფის გათვლით. უკანასკნელი ეხება როგორც მატერიალურ-ტექნიკურ, ისე საკადრო უზრუნველყოფას.

სტრატეგიული რისკი. იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნესგადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმობდენა გარე ცვლილებებზე. იგი დაკავშირებულია შეცდომებთან სტრატეგიულ მართვაში და ორგანიზაციის მიზნების არასწორი

ფორმულირების შესაძლებლობასთან. კარგ მაგალითს წარმოადგენს დაუსაბუთებელი მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციები უძრავ ქონებაში ან გაუმართლებელი გასვლა ახალ რეგიონული ბაზრებზე⁹.

ტექნოლოგიური რისკი. რისკი, დაკავშირებული ბანკის საქმიანობაში განსხვავებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებულთან, იწოდება ტექნოლოგიურ რისკად. ამ დროს შესაძლებელია დანაკარგები მონოპოლიზაციის მუშაობაში ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯების გამო, აგრეთვე-არასანქცირებული დაშვებისას გადამწყვეტ შიდასაბანკო ინფორმაციამდე. მოცემული რისკი არსებობს ნებისმიერ საწარმოში, მაგრამ მისი მართვა ბანკისათვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. ტექნოლოგიური რისკის გამოვლენის ტიპური მაგალითია-კომპიუტერული თაღლითობა და მოუნესრიგებლობა ელექტრონული გადახდების სისტემაში.

საოპერაციო ანუ ზედნადები ხარჯების რისკი. (არაეფექტიანობის რისკი). არაეფექტიანობის რისკი დაკავშირებულია საშიშროებასთან, როდესაც ერთმანეთს არ შეესაბამება ბანკის ოპერაციების განსახორციელებლად განეული ხარჯები და მათი შედეგიანობა. ბანკში უფრო რთულია, ვიდრე სხვა საწარმოებში, ზედნადები ხარჯების მართვა, რამეთუ სამრეწველო საწარმოებთან შედარებით უფრო რთულია განისაზღვროს, რა გავლენას ახდენს ბანკის არასაპროცენტო ხარჯები წმინდა საპროცენტო შემოსავლის საბანკო მოგების ძირითადი შემადგენლის გაზრდაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ხარჯებისა და შემოსავლების ზუსტ, სწორ კლასიფიკაციას.

ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვის რისკი. ზედნადები ხარჯების რისკი მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური ათვისების რისკთან: იმ რისკთან, რომ არ იქნება მიღწეული ახალი საბანკო პროდუქტების, მომსახურების, ოპერაციების, ქვედანაყოფების ან ტექნოლოგიების დაგეგმილი ანაზღაურებადობა. თავისი არსით ბანკი როგორც საწარმო თავის პროდუქციას აწვდის ბაზარს, რის

⁹ ი. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014 გვ. 500

გამოც სახსრების მოზიდვა და განთავსება დაიყვანება კლიენტებისა და ბანკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების მიღწევისთვის ბრძოლაზე. მაგრამ ამ პროცესზე ზემოქმედებს მარავალრიცხოვანი მარკეტინგული რისკები. მარკეტინგული რისკის კერძო მაგალითს, მაგრამ ამავე დროს, მთლიანობაში, საბანკო რისკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს ახალი პროდუქტების დანერგვის რისკი. სხვა საგარეო რისკები. მოცემულ ჯგუფს მიეკუთვნება ის არასათანადო რისკები, რომლებიც ფუნქციონალურისგან განსხვავებით წარმოადგენს საგარეოს ბანკისადმი. რისკის ამ ჯგუფის გავლენა ბანკის მუშაობაზე ძალიან დიდია, ხოლო მათი მართვა ძნელად ფორმალიზებადი და მოითხოვს განსაკუთრებულ ხელოვნებას.

შეუსაბამობის რისკი. შეუსაბამობის რისკი ანუ სახელმწიფო რეგულირების პირობებისადმი შეუსაბამობის რისკი შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც სახელმწიფო რეგულირების პირობების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით, ასევე შესაძლო პრობლემებით შიდასაბანკო სისტემის მართვის და ბანკის მართვის კონტროლში. ჯერ ერთი, შეუსაბამობის რისკის შედეგად დანაკარგები შეიძლება აღმოცენდეს რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოების სანქციებთან დაკავშირებით; მეორე, შეიძლება დაზარალდეს ბანკის რეპუტაცია. (რეპუტაციის დაკარგვის რისკი); მესამე, ზარალი შეიძლება აღმოცენდეს ხელიდან გაშვებული მოგების შედეგად ან პირდაპირი დანაკარგებიდან საბანკო საქმიანობის სპექტრის შემზღუდვის ან ოპერაციების შემოსავლიანობის შემცირების გამო.

რეპუტაციის დაკარგვის რისკი¹⁰. რეპუტაციის რისკი წარმოადგენს რისკის ისეთ სახეს რომელიც იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება და ბანკის უარყოფითად წარმოდგენა. ამიტომ მენეჯმენტმა ყოველმხრივ უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ დაამტკიცონ და შეათავსონ რეპუტაციის რისკის კონტროლის პოლიტიკა. უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკს ჰქონდეს კაპიტალზე გავლენის დაანგარიშების პოლიტიკარეპუტაციის რისკის მხრიდან

¹⁰დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე
https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF

ბანკის. უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კომპლექსური ინფორმაცია მიაწოდოს აინტერესებულ პირებს.¹¹ რისკის ეს სახე დაკავშირებულია ბანკის შესაძლო უუნარობასთან, შეინარჩუნოს თავისი რეპუტაცია, როგორც საიმედო საქმიანმა პარტნიორმა. დიდი დამოკიდებულება ნასესხებ საშუალებებზე ხდის ბანკებს განსაკუთრებით მგრძობიარეს რისკის მოცემული სახეობისადმი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შიში ბანკის საიმედოობის თაობაზე აღმოჩნდა უსაფუძვლო, მეანაბრების მხრიდან მისდამი ნდობის დაკარგვამ შეიძლება გამიწვიოს სახსრების გაღინება და გადახდისუუნარობა. რეპუტაციის შელახვის თავიდან აცილების მიზნით ფართო პუბლიკის მხრიდან, ბანკმა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიაქციოს თავისი რეპუტაციის შენარჩუნებას ცენტრალური ბანკის, ხელისუფლების ორგანოების წინაშე. რისკის მოცემული სახეობის კონტროლის ღონისძიებებს წარმოადგენს ლიკვიდობის შენარჩუნება (ანგარიშსწორების შეყოვნების არარსებობა), საეჭვო ოპერაციებისაგან თავის არიდება (მაგალითად, ფულის გათეთრების ოპერაციები), მონაწილეობა სხვადასხვა სხვადასხვა სახეობის რეგიონალურ პროექტში და ა.შ

მოვიყვანოთ ტიპური საბანკო ოპერაციებისა და მათთან დაკავშირებული რისკის სახეობების მაგალითი:

კომერციული ბანკი აკრედიტებს კლიენტის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენას. ყველაზე უფრო აშკარაა რისკი მოცემული ოპერაციის დროს არის საკრედიტო რისკი. შეძლებს კი მსესხებელი დროულად და სრულიად შეასრულოს თავისი ვალდებულებები? ბანკის საკრედიტო განყოფილების შეფასებიდან გამომდინარე, მოვლენათა არასასურველი განვითარების (გადაუხდელობის) ალბათობის მიმართ ბანკმა ფულადი კომპენსაციების სიდიდე უნდა განსაზღვროს. ამასთან, საუბარია არა პირდაპირ კომპენსაციაზე არახელსაყრელი მოვლენის დადგომის შემთხვევაში, არამედ საპროცენტო განაკვეთის მოცულობაში გათვალისწინებულია კრედიტების მიხედვით დანაკარგების ალბათობა. მავრამ

¹¹ი. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014 გვ. 499

აღნიშნული ოპერაცია აღმოაჩენებს ბანკის მიდრეკილებას რისკის კიდევ რამოდენიმე სახეობისადმი. მათ შორის შედეგი: **ლიკვიდობის**

რისკი: მსესხებელმა შეიძლება დაარღვიოს კრედიტის დაფარვის გრაფიკი, რამაც ბანკს შეიძლება შეუქმნას სირთულეები საკუთარი ვალდებულებების შესრულების მხრივ. მაგალითად, მეანაბრეებისადმი; **საპროცენტო განაკვეთების**

ცვლილების რისკი: **საპროცენტო განაკვეთების** საერთო დონის გაუთვალისწინებელი ზრდის გამო, მიღებული პროცენტები შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისი საკრედიტო რესურსების ღირებულების გაზრდის კომპენსაციისათვის;

სავალუტო რისკი არსებობს როგორც უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებისას, ისე ლარებში დაკრედიტებისას. თუ ბანკის სახსრების წყაროებს შორის მნიშვნელოვანი მოცულობითაა ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში; **რიგი ფუნქციონალური რისკებისა,** დაკავშირებული გადახდებისა და ინკასაციის განხორციელებასთან, საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებასთან, უზრუნველყოფის შეფასებასთან და ა.შ.

ფასიან ქალაქლებზე ოპერაციების რისკი.

ოპერაციები ფასიან ქალაქლებზე ბანკის საინვესტიციო ოპერაციებს ეკუთვნის, რომლებიც რისკს უკავშირდება. ეს რისკი რთულია, რადგან აქ საფინანსო რისკების მთელი კომპლექსი იჩენს თავს. ფასიან ქალაქლებზე ოპერაციების რისკის მართვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მასზე სხვადასხვაგვარი რისკები ახდენენ გავლენას: სისტემატური, სელექციური, დროითი, ლიკვიდობის, საკრედიტო, ინფლაციური, საპროცენტო, სავალუტო და სხვ. ცალკე ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ საკანონმდებლო რისკები. მათი წინასწარ გათვალისწინება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ბაზის მდგრადობას. უფრო დეტალურად განვიხილოთ ფასიან ქალაქლებზე ოპერაციების ზოგიერთი სახის რისკი.

სისტემატური რისკი

კონკრეტულ ფასიან ქალაქს კი არ უკავშირდება, არამედ მთლიანად ფასიანი ქალაქების ბაზრის საერთო მდგომარეობის შედეგია. **სელექციური რისკი**

ფასიანი ქაღალდების ხარისხს ეხება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო კონკრეტული ფასიანი ქაღალდის შერჩევის პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირების დროს. ლიკვიდობის რისკი უკავშირდება შესაძლო დანაკარგებს ფასიანი ქაღალდის რეალიზაციისას, მისი ხარისხის შეფასების ცვლილების გამო. საკრედიტოა იმის რისკი, რომ სავალო ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტი ვეღარ შეძლებს მასზე პროცენტების და ვალის ძირითადი თანხის გადახდას.

ინფლაციურია იმ დანაკარგების რისკი, რომლებიც ინვესტორს შეუძლია მოუვიდეს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შეცვლის გამო. თუკი პროცენტის საბაზრო განაკვეთი იზრდება, ეს იწვევს ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით-ფიქსირებულ პროცენტიანი ობლიგაციების საკურსო ღირებულების დაცემას. ამ შემთხვევაში ზარალი იმ ინვესტორს მოსდის, რომელსაც თავისი სახსრები ფიქსირებულ პროცენტიან ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული.

გამონწვევის რისკი არის ინვესტორის დანაკარგების რისკი იმ შემთხვევაში, თუკი ემიტენტი ობლიგაციებს უკან გაიწვევს მათზე დანესებული ფიქსირებული საპროცენტო გადასახდელების დონის მიმდინარე საბაზრო პროცენტებზე გადამეტებასთან დაკავშირებით.

ფასიანი ქაღალდების რისკის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ბანკის სისტემატური მუშაობაამ რისკის რეგულირების მიმართულებით. ამ მიზნით საჭიროა:

1. სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის რეგულარული ანალიზი;
2. წარმოქმნილი რისკის დონის შეფასება;
3. ფასიანი ქაღალდების პორტფელის დროული მონიტორინგის ჩატარება;

როგორც უცხოეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, ფასიანი ქაღალდების ყველაზე მეტ ხვედრით წილს უნდა შეადგენდეს მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებით განზონანსორებული გრძელვადიანი ობლიგაციები და აქ საშუალოვადიანი ქაღალდები არ უნდა იყოს. ყოველმა ბანკმა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე

უნდა შეიმუშაოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო პოლიტიკა და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს ამ პოლიტიკით. საყურადღებოა სუბიექტური ფაქტორების, კერძოდ, იმ მუშაკის კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, რომელიც ბანკის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაზე აგებს პასუხს.


ამგვარად,

ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების რისკის დონის განსაზღვრა შესაძლებლობას იძლევა, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ნეგატიური შედეგები კომერციული ბანკისათვის, აგრეთვე, ამაღლდეს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობა.

თავი II. რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკებში, მათი შეფასება და მართვის სისტემა

რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დანესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის პროცესის ზოგადი სტრუქტურა ყველა დანესებულებაში იდენტურია (იხ. ცხრილი N 2.).

ცხრილი N2. რისკის მართვის პროცესი (ISO 31000-ის მიხედვით)




ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სავალუტო რისკის ბუნებაც რთულ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ არსებობს მისი მართვის სხვადასხვა მეთოდები.

კომერციულ ბანკებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო, სადაც რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია საპროცენტო, საბაზროდა საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული მოგება წარმოადგენს, რომლის მოცულობის ზრდა უშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობის ზრდაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა და მათ შესავსებად წყაროების არარარსებობა. მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო

ანგარიშების გახსნას, სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას¹².

ცხრილი N3. შიდა და გარე ფაქტორების მაგალითი



რისკი ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში შეიძლება შეგვხდეს და რა თქმა უნდა მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. რისკის დონე იზრდება მაშინ როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურ გასანეიტრალებლად. შესაბამისად სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მაშინ, როცა სავარაუდო რისკები და დანაკარგების ალბათობა წინასწარაა შესწავლილი და დაზღვეული¹³.

ამრიგად, როგორც საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა

¹² მ. შიუკაშვილი, რისკების მართვა საბანკო სისტემებში - წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2015 გვ.106-110

¹³ მ. გელაშვილი, რისკების მართვა კომერციულ ბანკებში ყ. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N 2, 2018 გვ.84-85

გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს, რაც ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში. კომერციული ბანკის საიმედოობის უზრუნველყოფის მთავარი მიზანი უნდა იყოს მისი თანამედროვე პირობებში მდგრადი და მაქსიმალურად ეფექტური ფუნქციონირების და მომავალში განვითარებისა და ზრდის მაღალი პოტენციალის შექმნის გარანტია. საიმედოობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ეტაპია ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხოვანი პარამეტრების განსაზღვრა და ბანკის რიცხოვრივი ორიენტირების შემადგენლობის მიმართულებათა სტრატეგიის დამუშავება. ბანკის ხელმძღვანელობამ თავისი მმართველობა უნდა წარმართოს ისე, რომ მიმდინარე პირობებში გამორიცხოს ზარალი, ხოლო მომავალში გაითვალისწინოს ქვემდებარე ობიექტის განვითარების ინტერესები¹⁴. მაღალ ორგანიზებული მმართველობითი სისტემის შესაქმნელად პირველ რიგში აუცილებელია ფასეულობათა ინტერესებისა და სისტემების სწორად განსაზღვრა, შემდგომში კი გამომუშავებულ იქნას კომერციული ბანკის არსებობის პერსპექტიული მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველმხრივი დაცვის რეჟიმი და მართვის წინაშე დასახული ამოცანების ადეკვატურად შესაბამისი მეთოდების დამუშავება.

ამრიგად, საბანკო სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია პროგრესული ცვლილების განხორციელება, ხოლო, უახლოეს პერსპექტივაში, მხოლოდ პროფესიულ სტრატეგიას შეუძლია სიტუაციის უკეთესობისაკენ შეცვლა და კომერციული ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ამაღლება¹⁵.

¹⁴ მ. შიუკაშვილი, რისკების მართვა საბანკო სისტემებში - წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2015 გვ.106-110

¹⁵ ცაავა გ. და სხვები. - რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკოსაკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა, „გრანალი“, 2018

როგორც ცნობილია, სავალუტო რისკი ქმნის საბოლოო ფინანსური შედეგის გაურკვეველობას განსაკუთრებით ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის. აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ზუსტად გაითვალისწინონ სავალუტო რისკი პროდუქციის ფასნარმოქმნისას, რაც ართულებს ბიზნესდაგეგმარების პროცესს, მაგრამ არსებობს სავალუტო რისკის შემცირების საშუალება, ეგრეთწოდებული, „ჰეჯირება“, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბიზნეს პროცესების შესაბამისი ორგანიზებით, ისე რომ კომპანიამ მაქსიმალურად აარიდოს თავი სავალუტო რისკებს ან სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ანუ სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავიდან იქნას აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამომწვეული გაურკვეველობები. სავალუტო ჰეჯირება საშუალებას აძლევს იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს:

- სწორად განსაზღვრონ მომავალი ფულადი ნაკადების ხვადასხვა ვალუტით;
- განსაზღვრონ ისეთი ფასები, რომელიც ბიზნესგეგმით იყო გათვალისწინებული;
- შეინარჩუნონ საოპერაციო სტაბილურობა;
- ფოკუსირება გააკეთონ თავიანთ ძირითად საქმიანობაზე.

სავალუტო რისკების ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა „ბუნებრივი ჰეჯირება“. ბუნებრივი ჰეჯირება არის ბიზნესპროცესების ისეთი დაგეგმარებანარმართვა, რომ კომპანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად, ან მაქსიმალურად სრულად შეესაბამება ერთმანეთს და ამგვარად აცილებულია ან მინიმუმამდეა დაყვანილი სავალუტო რისკი. ბუნებრივი ჰეჯირების უპირატესობა არის ის, რომ არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს და პირდაპირ უკავშირდება კომპანიის ბიზნესპროცესებს. თუმცა, ყველა კომპანიას არ აქვს საშუალება, ასეთი მოქმედებით დაიცვას თავი სავალუტო რისკისგან.

კომპანიებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ბუნებრივი ჰეჯირების საშუალებით დაიცვან თავი სავალუტო რისკისგან, მიმართავენ სავალუტო რისკის ჰეჯირების სხვა ინსტრუმენტებს, კერძოდ: სავალუტო

კონტრაქტებს, რომლის საშუალებით ისინი მომავალში იყიდიან, ან გაყიდიან უცხოურ ვალუტას წინასწარშეთანხმებული გაცვლითი კურსით წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე. ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის სხვადასხვა სავალუტო კონტრაქტები წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ე.წ. სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს). სავალუტო ფინანსურ ინსტრუმენტებს განეკუთვნება: სავალუტო ფორვარდები, ოპციონები, სვოპები. აღნიშნული ინსტრუმენტების შეთავაზება ხდება ძირითადად ბანკების მიერ.¹⁶

სავალუტო ფორვარდი - კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე ყიდულობს მეორე მხარისგან ერთ კონკრეტულ ვალუტას მეორე კონკრეტული ვალუტის სანაცვლოდ წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე.

სავალუტო სვოპი – ორი ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვა მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე.

სავალუტო ოფციონები – ოფციონის მყიდველს ეძლევა უფლება (და არა ვალდებულება), რომ იყიდოს, ან გაყიდოს კონკრეტული ვალუტა წინასწარ შეთანხმებული კურსით წინასწარ შეთანხმებულ დროის პერიოდში, ან წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე, რისთვისაც ოფციონის მყიდველი იხდის შესაბამის ფასს.

საქართველოში სავალუტო რისკების მართვის ინსტრუმენტებს მხოლოდ რამოდენიმე კომერციული ბანკი სთავაზობს კლიენტებს - სს „თიბისი ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და სს „საქართველოს ბანკი“. როგორც წესი, საბანკო რისკის მართვის პროცესის კრიტიკული განხილვა მნიშვნელოვანია ბანკის რენტაბელობის დონის ასამაღლებლად. სწორედ ამიტომ ბანკის თითოეული მუშაკი ვალდებულია აკონტროლოს მისი რისკ-ფაქტორები. ბანკი ექვემდებარება საკრედიტო ლიკვიდობასა და საბაზრო რისკებს, ეს უკანასკნელი იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკ-

¹⁶ ნ. შონია. სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში უ. ბიზნესი და კანონმდებლობა N1, 2013, გვ.23

ბად, და ასევე, ექვემდებარება საოპერაციო რისკს. როგორც წესი, რისკის მენეჯმენტის სტრუქტურა შედგება შემდეგი ერთეულებისგან:

- სამეთვალყურეო საბჭო - პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლზე. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვაზე. რისკის სტრატეგიების პრინციპების შემუშავებაზე.
- აუდიტის კომიტეტი - ასევე მთლიანადაა პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიისა და განსახორციელებელი პრინციპების, პოლიტიკისა და შეზღუდვების შემუშავებაზე. იგი პასუხისმგებელია რისკის ფუნდამენტურ პრობლემებზე და მონიტორინგს უწევს რისკის მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.
- ბანკის ხაზინა - პასუხისმგებელია ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე და მთლიანად ფინანსურ სტრუქტურაზე. თანაც პასუხისმგებელია ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდობის რისკებზე.
- შიდა აუდიტი - ბანკში რისკის მართვის პროცესის აუდიტი ხდება ყოველწლიურად შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს, როგორც პროცედურათა ადეკვატურობას, ისე მოცემულ პროცედურებთან ბანკის შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ყველა სახის შეფასებას მენეჯმენტთან და აუდიტის კომიტეტს გადასცემს მოძიებულ მტკიცებულებებსა და რეკომენდაციებს.

რისკების ზრდასთან ერთად, ბუნებრივია მათი შეფასების უფრო სრულყოფილი ტექნიკის აუცილებლობა წარმოიშვა. რისკ-მენეჯერებისათვის საჭირო გახდა საბანკო პორტფელის რისკის შეფასება. საბანკო რისკების შეფასება ხდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომლებიც ასახავს სავარაუდო ზარალს ბიზნესის ჩვეულებრივი კურსით მსვლელობისას და მოულოდნელ ზარალსაც, რომლის განსაზღვრაც ხდება სტატისტიკური მოდელებით.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, რომლების ასახავს საბანკო ბიზნესის სტრატეგიასა და საბაზრო გარემოს. ასევე რისკის იმ დონეს. რომელსაც ბანკი იღებს არჩეული

საქმიანობის სფეროში დამატებითი ძალისხმევის ჩადებით. ამასთან, ბანკი ახორციელებს ყველა ტიპის რისკის მონიტორინგსა და შეფასებას.

რისკის შეფასების ყველაზე აპრობირებული მეთოდებია:

- მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრა;
- რისკის შეფასების მარტივი ხერხი;
- გარდამავალი ალბათობების მატრიცებზე დაფუძნებული მეთოდი;
- დეფოლტის პროცესების ალბათურ მოდელზე დამყარებული მეთოდი;
- ბლექ-შოულსისოპციონების თეორიაზე დაფუძნებული მეთოდი;
- მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე დაფუძნებული მეთოდი.

ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზის პრაქტიკაში რიგი მაჩვენებლები გამოიყენება, რომლებიც საკრედიტო რისკს უფრო სრულად ახასიათებს და ბანკის საკრედიტო რეიტინგის დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ბანკის კაპიტალის სიდიდე; ბანკის აქტივების სიდიდე; ბანკის ვალდებულებების სიდიდე; ბანკის მოგების სიდიდე.

ინფორმაციული მომსახურების მსოფლიო ბაზარზე თანამედროვე პირობებში სამი წამყვანი სარეიტინგო სააგენტოები მონაწილეობენ:

1. „Moody’s Investors Service“;
2. „Standard and Poor’s“;
3. „Fitch“.

დღეს მსოფლიოში სარეიტინგო შეფასებისა და საკრედიტო რეიტინგების სახეობის განმსაზღვრელი სტანდარტები არსებობს. წამყვანი მსოფლიო სააგენტოების მიერ გამოყენებადი საკრედიტო რეიტინგების სახეობებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულად ითვლება:

- ემიტენტის რეიტინგი ქვეყნის შიგნით (Intra-Country Issuer Rating);
- მოკლევადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით (Local/Foreign Currency Short-Term Debt Rating);
- გრძელვადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით (Local/Foreign Currency Long-Term Debt Rating);

- მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტური რეიტინგი (Short-Term Bank Deposit Rating);
- გრძელვადიანი საბანკო დეპოზიტური რეიტინგი (Long-Term Bank Deposit Rating);
- ბანკის ფინანსური მდგრადობის რეიტინგი (Bank Financial Strength Rating).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბანკებისათვის „Fitch“-ის სააგენტოს შემდეგი სახეობის რეიტინგები გამოიყენება:

- ემიტენტის რეიტინგი ქვეყნის შიგნით;
- მოკლევადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით;

გრძელვადიანი სავალო რეიტინგი ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების მიხედვით. შეფასებას.

ბანკების საქმიანობაზე დიდი ზემოქმედება ინფორმაციული ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგვამ, საბანკო ინტერნეტ-მომსახურების კომპლექსის განვითარებამ განაპირობეს, რითაც კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურების ეფექტიანი სისტემის შექმნა, გადახდების განხორციელების დაჩქარება, ფულად ნაკადებზე კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება გახდა შესაძლებელი.

აღნიშნულმა ცვლილებებმა საბანკო საქმიანობაში რისკების კონცენტრაცია გამოიწვია და შესაბამისად, საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა საბანკო რისკების გაზომვის ახალი მეთოდების დამუშავება მოითხოვა, რომლებიც საბანკო ბიზნესისადმი ახალი მუქარების ადეკვატური იქნებოდა როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეებზე.

განვითარებული ქვეყნების ეროვნული საზედამხედველო ორგანოების მიერ საბანკო საქმიანობის რისკებზე კონტროლის მუშაობის პრაქტიკის აღწერისას, შეიძლება ორი ერთმანეთის ურთიერთშემავსებელი სისტემის შესახებ იქნეს საუბარი:

- როდესაც მიმდინარე საბანკო საქმიანობისა და მისთვის დამახასიათებელი რისკების შეფასება შიდა რეიტინგებისა და ჯგუფური შედარებების სისტემის მეშვეობით ხორციელდება;

- როდესაც მიმდინარე საბანკო საქმიანობისა და მისთვის დამახასიათებელი რისკების შეფასება „ადრეული რეაგირების სისტემის“ მეშვეობით ხორციელდება და რომელიც სტატისტიკური საპროგნოზო მოდელების საფუძველზეა აგებული.

საბანკო საქმიანობის რისკებთან მიმართებაში კონტროლისა და გაზომვებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნების მიერ თანამედროვე პირობებში გამოყენებადი სისტემები შეიძლება შემდეგ სახეებად დაიყოს:

- რეიტინგული შეფასების სისტემები;
- დისტანციური მონიტორინგის სისტემები (ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება და ბანკების ჯგუფების ანალიზი);
- საბანკო საქმიანობის რისკების შეფასების კომპლექსური სისტემები;

სტატისტიკური საპროგნოზო მოდელები, ანუ „ადრეული რეაგირების სისტემები“ შეფასებას.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მძიმე შედეგი გამოიღო, რადგან საბანკო სისტემა მოიცვა ვადაგადაცილებულმა იპოთეკურმა სესხებმა. კრიზისმა გამოიწვია საბანკო სისტემის ლიკვიდობის გაუარესება, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ვარდნა, რის გამოც ბანკები ვერ ახერხებდნენ სესხის უზრუნველსაყოფად გირაოში ჩადებული უძრავი ქონების დროულ რეალიზაციას იმ ფასად, რომელიც საკმარისი იქნებოდა კრედიტის მთლიანად დასაფარად, ანუ ბანკებს ბალანსის სახით აღმოაჩნდათ თავიანთ ბალანსზე დაგროვილი უძრავი ქონება. ამან კი გამოიწვია საბანკო სფეროს და უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი, რომელიც ძალიან მალე ჯერ მთლიანად საფინანსო კრიზისში, ხოლო მოგვიანებით მსოფლიო ფინანსურ კრიზისში, ისეთ კრიზისში, რომელიც მსოფლიოს 1933 წლის ”დიდი დეპრესიის” შემდეგ არ ახსოვს.

მსგავსი

შეცდომები იქნა დაშვებული საქართველოს საბანკო სისტემაში, განსაკუთრებით კი 2008 წლის პირველ ნახევარში, როცა ძალიან გაიოლდა ქართული ბანკებიდან კრედიტის გამოტანა. საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედ ბანკებსაც ჰქონდათ საზღვარგარეთიდან უწყვეტი ჰქონდათ საზღვარგარეთიდან უწყვეტი საკრედიტო

ხაზგებისთ მიღებული იაფი რესურსები, რის გამოც საბანკო სისტემა გაჯერებული იყო ჭარბი ლიკვიდობით. ფინანსო კრიზისის შესარბილებლად

საკრედიტო რისკის მართვის კუთხით გააქტიურდა ბანკების საქმიანობა. პირველ რიგში ეს გამოიხატა ლიმიტების დაწესებაში: ბანკებმა უარი თქვეს დაკრედიტების ძველ ტემპებზე და სამომხმარებლო ბაზრის ბევრი პროდუქტი, როგორცაა: განვადება და საკრედიტო ბარათები საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან. განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა ხელფასის საფუძველზე გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე, რომლებიც დღესდღეობით, უმეტესად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა თუ ფიზიკურ პირს ბანკში ერიცხება ხელფასი, რადგან ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდეს კლიენტის ხელფასის დაყადაღება. მოხდა ასევე არასაგირაუნო ტიპის ბიზნეს-კრედიტების შეზღუდვა, გამონაკის წარმოადგენდა "პროკრედიტ ბანკი", რომელიც მიუხედავად კრიზისისა, მაინც ინარჩუნებდა მის მიერ დანერგილი პროდუქტების გაყიდვის ძველ ტემპებს და აგრძელებდა სტაბილურ დაკრედიტებას. სერიოზული პრობლემები გააჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებს საოპერაციო რისკის მართვაში. როგორც წესი, საოპერაციო რისკი არის ბანკის სტაბილური, გამართული, ქმედუნარიანი სამუშაო პროცესის შეფერხების რისკი და იგი შეიძლება გამონვეული იქნეს ბანკის ოპერირების ნებისმიერ დონეზე დაშვებული შეცდომებით. პირველ რიგში ეს ეხება ბანკის სამუშაო-საოპერაციო სისტემის გამართულ მუშაობას. ქართულ ბანკებში ხშირია შემთხვევები, როცა პროგრამული უზრუნველყოფის გათიშვის მიზეზით ბანკში იქმნება დიდი რიგები, რასაც შედეგად მოჰყვება კლიენტების უკმაყოფილება და პრეტენზიები.

საოპერაციო რისკების მართვა უშუალო კავშირშია კადრების შერჩევასთან. აქ დაშვებული ნაკლოვანებები მძიმე ფინანსურ შედეგს იძლევა.

საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ჩვენი საბანკო სისტემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკური რისკის გათვალისწინებას. იგი გულისხმობს ნებისმიერი სახის მოსალოდნელ ზარალს, რომელიც შეიძლება ბანკმა მიიღოს კანონმდებლობის ცვლილების, ქვეყანაში დესტაბილიზაციის, ომისა და სხვა მსგავსი პოლიტიკური მდგომარეობის რადი-

კალურ შეცვლასთან დაკავშირებული მოქმედების გამო. ამ მხრივ საქართველო არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია.

ცალკე განხილვას ექვემდებარება ლიკვიდობის რისკის შეფასება და კონტროლი, რომელიც საბანკო რისკების მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ამ რისკთან უშუალო კავშირშია ბანკის საქმიანობა, ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს აღებული ვალდებულებების შესრულებას, რამაც შეიძლება სავალო შედეგი გამოიწვიოს. საქართველოს კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის რისკის კონტროლი ძირითადად ხდება, აქტივ-პასივების მართვის და რისკების მართვის დეპარტამენტების კოორდინირებული მოქმედების შედეგად.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ბანკებს არ ჰქონიათ ლიკვიდობის პრობლემები. თუმცა, ისინი ზედმეტად დამოკიდებულნი არიან უცხოურ საკრედიტო ხაზებზე.

თავი III. საბანკო რისკების დაზღვევის მნიშვნელობა და თანამედროვე სისტემა

როგორც უკვე აღინიშნა საბანკო პრაქტიკაში რისკი არის გარკვეული შემთხვევების დადგომისას ბანკისთვის ზარალის მიღების საშიშროება. იმ ბანკებში, სადაც ეფექტურად ხდება რისკების მართვა, დიდი ალბათობით, სწორადაა ორგანიზებული რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების საქმიანობა. მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბანკო რისკების დაზღვევა.

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას. კომერციული ბანკების უმთავრესი ამოცანაა რისკების შემცირება, რაც გულისხმობს ოპტიმალური თანათვარდობის დაცვას ერთი მხრივ კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და მეორე მხრივ საკუთარ კაპიტალს შორის¹⁷. საბანკო რისკების სამი სახე არსებობს: საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი სახეები: საკრედიტო რისკი, საბაზრო და საპროცენტო რისკები, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი, სამართლებრივი რისკი, რეპუტაციის რისკი, სტრატეგიული რისკი და შესაბამისობის რისკი.¹⁸ აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა.

რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის

¹⁷ ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი, თბილისი, 2009. გვ. 287-288

¹⁸ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე

https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF

იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს. რისკის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების მხედველობაში მიღება:

ა) პროაქტიული (მოსალოდნელი) და არარეაქტიული პოზიციის ქონა;

ბ) ყველა სახეობის ოპერაციის მოცვა; გ) ინფორმაციის ნებისმიერი შესაძლო წყარო გამოყენებით რისკების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი;

დ) რისკების აღბათობის ანალიზი და ამრისკების შედეგები.

რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი.

ამ მიდგომით შესაძლებელი უნდა გახდეს შემდეგი შეფასებების გაკეთება:

ა) პროდუქტის/საქმიანობის მგრძობელობა ფაქტორების ცვლილებისადმი, რომლებიც ზემოქმედებს მასზე, როგორც ნორმალურ, ისე ანომალიურ მდგომარეობაში;

ბ) სხვადასხვა ფაქტორის ცვლილებების დინამიკა, წარსული ცვლილებებისა და მერყეობის საფუძველზე და კორელაცია;

გ) რისკების ფაქტორები ინდივიდუალურსაფუძველზე;

დ) აგრეგირებული რისკი, რისკის კორელაციის გათვალისწინებით;

ე) ყველა საბანკო ოპერაციისა და პროდუქტისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლებიც შეიძლება ინტეგრირებულ იქნენ ბანკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში.

რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდი¹⁹. როგორც წესი, რისკების შეფასების ყველაზე მარტივი მიდგომა არის სტანდარტული მეთოდის გამოყენება, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, თუმცა, პრაქტიკოსები ეყრდნობიან და გამოიყენებენ ალტერნატიული მოდელს. ალტერნატიული მოდელის გამოყენება

¹⁹ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF

მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იყოს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნა გამოყენებული მეთოდის სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ბანკს, რომელიც დიდი ოდენობით ოპერაციებს ახორციელებს და მაღალი კომპლექსურობა ახასიათებს, შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს შიდა მოდელი. ამასთან, შიდა მოდელის გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა მიზნებისთვის, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და ბანკის მომავალი პოლიტიკის გათვალისწინებით²⁰.

რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესოპერაციების სახეობას, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატის და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შეზღუდვათა საბოლოო შედეგები. რისკების შეფასების მეთოდი გასაგები უნდა იყოს ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ რისკებს, მათ შორისაა (და არა მხოლოდ) რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები²¹.

რისკების შეფასებისა და ადრეული რეაგირების სარეიტინგო სისტემებს, მთლიანობაში რიგი განსხვავებები ახასიათებთ, რომლებიც განპირობებულია ამ ქვეყნის საბანკო სისტემების განვითარების, როგორც ისტორიული სტრუქტურული თავისებურებებით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თავისებურებებითაც. მაგრამ ყველა ისინი, ძირითადად, საკრედიტო და საბაზრო რისკებზე, მენეჯმენტის ხარისხზე, აგრეთვე ბანკების პრობლემების ადრეულ სტადიაში გამოვლენის აუცილებლობაზეა ორიენტირებული.

1921 წელს ფრენკ ნაიტმა (მონეტარიზმის ჩიკაგოს სკოლა), მე-18-19 საუკუნეების თვალსაჩინო ეკონომისტების მოსაზრება-შეხედულებების შეჯერება-განვითარების შედეგად დაგვანახა, რომ განუსაზღვრელობა და აქედან გამომდინ-

²⁰ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე

https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF

²¹ი. კოვზანაძე, გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014 გვ. 509

ნარე რისკი მენარმეებისთვის ბიზნეს-გარემოს განუყოფელი მახასიათებელია. ამ დროიდან რისკ-მენეჯმენტმა, უპირატესად, გზა საკრედიტო რისკის ანალიზიდან საბაზრო რისკის ანალიზამდე, რისკის სტანდარტული გადახრებისა და დისპერსიის ჩვეულებრივი მაჩვენებლებით შეფასებიდან „VAR“-ის (value at risk- საბაზრო რისკების გაზომვისა და კონტროლის მეთოდოლოგია) სახის რთულ სტატისტიკური „პდელეზამდე გაიარა.

XX საუკუნის 90-იან წლების შუა პერიოდისათვის საბანკო რისკებზე კონტროლმა სერიოზული ცვლილებები განიცადა, მათ შორის რისკების გაანგარიშებისა და გაზომვის გაანგარიშების მეთოდის სფეროში სიახლეების შემოქმედების ქვეშაც. ერთ-ერთი უფრო მეტად არსებითი ნოუ-ჰაუ გახდა საბანკო საქმიანობაში რისკების გაზომვის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც VAR („Value at risk“)-ის ღირებულება რისკის ქვეშ სახელით არის ცნობილი. საბანკო ზედამხედველობის მიზნით VAR მეთოდოლოგიის დანერგვა ბაზელის კომიტეტის მიერ იყო ინიცირებული და იგი ფინანსური ბაზრების კონიუქტურის პოტენციალური ზარალის რისკების შეფასებისათვის გამოიყენება.

მეთოდოლოგია „VAR“-ი შემუშავებულია საბაზრო რისკების მართვის მიზნით 90-იან წლებში და იგი თანამედროვე რისკმენეჯმენტის წამყვან კონცეფციას წარმოადგენს. პირველად „Value at risk“-ის ცნება გამოყენებული იქნა risk Metrics-ის სისტემაში, რომელიც ცნობილი საინვესტიციო ბანკი J.P. Morgan-ის მიერ იყო დამუშავებული. მეთოდოლოგიამ - კომერციული ბანკების, საინვესტიციო ფონდებისა და არასაფინანსო კორპორაციების პრაქტიკაში, ფართო გამოყენება მოიპოვა და მან ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ოფიციალური აღიარება მოიპოვა.

„VAR“-ზე დაფუძნებული მიდგომა პირველად 1993 წელს სპეციალური ოცდაათიანთა ჯგუფის (The Global Derivatives Study Group, G30)²² მიერ იყო რეკომენდირებული, რომელიც შემდგომში 1995 წლიდან, ბაზელის კომიტეტმა

²² Meparishvili B., Koroglishvili C., Meishvili S. Financial risk management: a survey. Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS, № 1(12), Tbilisi, 2012, pp. 180-184

საბანკო ზედამხედველობასთან დაკავშირებით კაპიტალის საკმარისობის სტანდარტების განსაზღვრისათვის გამოიყენება, ხოლო 1997 წლიდან მან - აშშ-ის ფასიან ქალაქებთან და ბირჟებთან დაკავშირებული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოიყენება. კერძო სტრუქტურებში „VAR” - მეთოდოლოგია გამოიყენება რისკის ქვეშ პოზიციის ლიმიტების დასადგენად, ხეჯირების მეთოდებისა და სქემების ასარჩევად, მარეგულირებელი ორგანოებისათვის შიდა კონტროლისა და ანგარიშგების შესადგენად. „VAR”-ის მეთოდოლოგია აშშ-ის საპენსიო ფონდების დაახლოებით 60%-ი იყენებს²³.

„VAR” - მეთოდოლოგია საბალანსო და გარესაბალანსო პოზიციების სხვადასხვა საბაზრო რისკების მთლიანობაში ერთ რისკებში აგრეგირების შესაძლებლობას იძლევა, რომელსაც ფულადი გამოსახულება აქვს. „VAR” - მეთოდოლოგია აქტივის (აქტივების პორტფელის) ღირებულებისა და შემოსავლების მაქსიმალური დანაკარგების, განსაზღვრული დროითი ინტერვალის განმავლობაში, დასახული ალბათობით (P) შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მას საფუძვლად უდევს: წინადადება ღირებულების მნიშვნელობის ნორმალური განაწილების შესახებ და ასევე გ. მარკოვიცის მიერ დამუშავებული სტანდარტული შეცდომისა და ოპტიმალური პორტფელის თეორია (აქტივების პორტფელის შემადგენელების ოპტიმალური კორელაცია).

„VAR” - მეთოდოლოგიის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელოვან პირობას - ბაზრის ლიკვიდურობის საკმარისი ხარისხი წარმოადგენს, რაც პორტფელის შემადგენლობის ცვლილების გზით „VAR”-ის დასახული მნიშვნელობის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა²⁴.

შესაძლო საგანგებო გარემოებებს მიეკუთვნება:

- შემოსავლიანობის მრუდის ფორმის გადაადგილება ან ცვლილება;

²³ ც. ქოროლიშვილი `საფინანსო სისტემებში რისკების პროგნოზირება ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენებით" წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2015 გვ.51

²⁴ ქოროლიშვილი ც. იმიტაციური მოდელირების გამოყენება საფინანსო რისკების მართვაში. სტუ მართვის ავტომატიზებული სისტემები №2(13), თბილისი, 2012, გვ. 165-169

- აქტივების ფასების მკვეთრი რყევა;
- ეროვნული ვალუტის დევალვაცია;
- ბაზრის ლიკვიდურობის ცვლილება და სხვა მიზეზები.

თანამედროვე პირობებში „VAR” მეთოდოლოგიის სხვადასხვა ვერსიები არსებობს, რომლებიც განსხვავდებიან: შეფასების ობიექტით, ფორმის მოქმედების სფეროებით, საკვანძო პარამეტრების ნორმატიული მნიშვნელობებით, ცვალებადი სიდიდეების ცვალებადობის შეფასების მეთოდებით და სხვა მახასიათებლებით.

ვერსია „BIS”-ი, რომელიც საკუთარი კაპიტალის სიდიდის ნორმირებისათვის გამოიყენება, კომერციული ბანკების კაპიტალისადმი (როგორც წამყვანი და ყველაზე მეტად რეგულირებადი ფინანსური დაწესებულებებისადმი) მეტად მკაცრ მოთხოვნებს მოიცავს:

- უფრო მაღალი - ნდობითი ალბათობის 99%-იანი დონე;
- უფრო მცირე - 10 დღიანი - შეფასების პერიოდი;
- აქტივების ჯგუფებს შორის კორელაციის აღრიცხვაზე აკრძალვა;
- „VAR”-ის მნიშვნელობის ყოველდღიური გაანგარიშება ვაჭრობის არანაკლებ 250 დღის ისტორიული მონაცემების მიხედვით.

ამასთან ერთად, „VAR”-ის პორტფელისა და კაპიტალის საკმარისობის შეფასებისადმი კორპორაციის მხრიდან მზარდი ინტერესი არსებობს, ხოლო მეორე მხრივ - ბანკების კომერციული მიზნები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფულადი ნაკადების, შემოსავლებისა და მოგების რისკის შეფასებისადმი. „VAR”-ის მეთოდოლოგიის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ იგი ინვესტორებს საკრედიტო რისკის სიდიდის გაზომვის, საერთო კაპიტალის საერთო შემოსავლიანობაში თითოეული კრედიტის წილის გაანგარიშების და, შესაბამისად, ბანკის საკრედიტო პორტფელში თითოეული ცალკეული პოზიციის რისკისაგან დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო კაპიტალის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა²⁵.

²⁵ ქოროლიშვილი ც. იმპაქტური მოდელირების გამოყენება საფინანსო რისკების მართვაში. სტუ მართვის ავტომატიზებული სისტემები №2(13), თბილისი, 2012, გვ. 165-170

რისკიანობის ღირებულება - აქტივების პორტფელის ღირებულების ცვლილებების შედეგად მაქსიმალურად მისაღებ შესაძლო ზარალს გამოხატავს, რომელიც შეიძლება დროის მოცემულ პერიოდში რისკიანი გარემოების დადგომის დადგენილი ალბათობით იქნას მიღებული, რომლის ქვეშ ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებები გაიგება.

რისკიანი ღირებულება - არის ზარალის მაქსიმალური მნიშვნელობა, თუ რა სიდიდით შეიძლება იგი არაუმეტესი $x\%$ -ის ალბათობით იქნას გადაჭარბებული და ბოლო n -დღის განმავლობაში $(100-x)\%$ -ის ალბათობით არ იქნება გადამეტებული. ნდობითი ინტერვალი შეიძლება 90,95; 97,5 ან 99%-ის ფარგლებში იქნას შეფასებული. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, 95%-იანი ნდობითი ინტერვალის შემთხვევაში, პოზიციის მხარდაჭერის პერიოდის 95% შემთხვევაში ზარალი „VAR“-ის რისკიანობის ღირებულებას არ გადააჭარბებს და მხოლოდ 5%-ის შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტი აღმოჩნდეს.

ბანკი, ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სახის რისკების თავისდროულ გამოვლენას, კონტროლსა და მინიმზაციას ახორციელებს, რომელიც მის ფინანსურ საიმედობას ემუქრება. რისკების მინიმზაციის მიღწევას სტაბილურობამდე მივყავართ, სტაბილურობას კი - ნდობის მოპოვებამდე, ხოლო თვით ნდობა - საბანკო ბიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საკრედიტო რისკის მინიმზაცია კრედიტების რაციონირებას, საკრედიტო დაბანდების დივერსიფიცირებას, კრედიტების სტრუქტურირებას, აგრეთვე საბანკო რისკების გადაფარვის მიზნით, სარეზერვო სახსრების შექმნას ითვალისწინებს.

საკრედიტო რისკის მინიმზაციის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან და მისაღებ ხერხს საკრედიტო პორტფელის რაციონირების ხერხი წარმოადგენს. ბანკის საკრედიტო პორტფელის რაციონირება - არის მოქნილი ან მკაცრი დაკრედიტების ლიმიტების: თანხობრივად, ვადების, საპროცენტო განაკვეთების სახეობისა და სესხების მიწოდების სხვა პირობების მიხედვით დადგენა; ცალკეული მსესხებლების ან მსესხებლების კლასის მიხედვით ლიმიტების დადგენა; ერთი ან ერთმანეთთან

მჭიდროდ დაკავშირებული მსესხებლების ხელში კრედიტების კონცენტრაციის ლიმიტების განსაზღვრა.

უცხოეთისა და ეროვნული (ადგილობრივი) ბანკების მიერ ლიმიტების დადგენის გამოცდილების შესწავლა, კომერციული ბანკების საკრედიტო ლიმიტების სტრუქტურირებისა და მათ სქემის სახით წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა.

რისკების მინიმიზაციის სფეროში ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრულ ეკონომიკურ ნორმატივებს წამყვანი როლი ეკისრება. ბანკის მიერ მისი საკრედიტო საქმიანობის მარეგულირებელი, ცენტრალიზებულად დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების დაუცველობა, ასეთ დაწესებულებებში ხშირად ფინანსური სიტუაციის გაუარესების მიზეზი ხდება. საბანკო სისტემის სტაბილურობისა და მდგრადობის მხარდაჭერის მიზნით, სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები კომერციული ბანკებისათვის მიახლოებით, ეკონომიკური ნორმატივების (ლიმიტების) ერთნაირ ჩამონათვალს ადგენენ. მათ შორის ძირითადს მიეკუთვნება:

- სანესდებო ფონდის მინიმალური სიდიდე ახლად შექმნილი ბანკისათვის;
- საკუთარი კაპიტალის მინიმალური სიდიდე მოქმედი ბანკისათვის;
- ლიკვიდურობის ნორმატივები;
- კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კლიენტზე (ურთიერთდაკავშირებული კლიენტების ჯგუფზე);
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ინსაიდერებისათვის (შიდა პიროვნებები) და მასთან დაკავშირებულ პირებისათვის;
- მსხვილი რისკების მაქსიმალური სიდიდე;
- სავალუტო რისკის (ღია სავალუტო პოზიციის) ნორმატივი;
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე (მეანაბრებზე);
- საკუთარი სათამასუქო ვალდებულებების მაქსიმალური სიდიდე;
- ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების მაქსიმალური სიდიდე.

აღნიშნული ლიმიტების გაანგარიშების ბაზად, ძირითადად, ბანკის საკუთარი სახსრები (კაპიტალი) არის დადგენილი. რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კლიენტზე - ბანკის მიერ კლიენტისადმი მოთხოვნების ერთობლივი თანხის ბანკის საკუთარ სახსრებთან (კაპიტალთან) პროცენტულ თანაფარდობას წარმოადგენს. საერთაშორისო საბანკო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მაჩვენებლების მნიშვნელობა საშუალოდ 20-25%-ის ფარგლებში მერყეობს.

რისკების მაქსიმალური სიდიდე ინსაიდერებთან მიმართებაში - ორი ნორმატივით რეგულირდება:

- რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ ინსაიდერზე (ბანკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი);
- რისკის მაქსიმალური სიდიდე ყველა ინსაიდერის მიხედვით.

რისკების მაქსიმალური სიდიდე ერთ ინსაიდერზე - ფიზიკურ პირზე, როგორც წესი, ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდის 2-3%-ს არ აღემატება, ხოლო ინსაიდერზე - იურიდიულ პირზე კი - 10-15%. რისკების მაქსიმალური სიდიდის საშუალო მნიშვნელობა მთლიანობაში ყველა ინსაიდერზე საბანკო პრაქტიკაში ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდესთან მიმართებაში 25-30%-ის ლიმიტის ფარგლებში განისაზღვრება. მსხვილი კრედიტების მაქსიმალური სიდიდე - მსხვილი კრედიტების ერთობლივი თანხის ბანკის საკუთარ სახსრებთან (კაპიტალთან) პროცენტულ თანაფარდობას წარმოადგენს. მსხვილ რისკად, ჩვეულებრივად ითვლება ის კრედიტი, რომლის მოცულობა ბანკის საკუთარი სახსრების 10%-ს აღარბეჭდს. რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე - ბანკის მიერ მოზიდული სახსრების კატეგორიის მიერ ერთდროულად გატანასთან დაკავშირებულ საბანკო რისკს წარმოადგენს. რისკის მაქსიმალური სიდიდე ერთ კრედიტორზე, როგორც წესი, ბანკის საკუთარი კაპიტალის 25%-ს არ უნდა აღარბეჭდეს. ამასთან, აღნიშნულ საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი დადგენილებებისა და პერიოდულად მათში შეტანილი ცვლილებების კონკრეტული განხილვა მიგვაჩნია უფრო მიზანშეწონილად. მრავალ ქვეყანაში ერთ ან ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფის მსესხებლებზე

მინოდებული კრედიტების სიდიდეზე სათანადო შეზღუდვებია დადგენილი, რომელთა პროცენტული რისკი ბანკისათვის ერთიან მსხვილ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. საქართველოში ერთ მსესხებელზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური მნიშვნელობა ბანკის კაპიტალის 25%-ის სიდიდის ფარგლებშია დადგენილი.

ბანკის საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია - საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მეთოდს წარმოადგენს, რომლის განხორციელება მსესხებლების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით სესხების განაწილების, მინოდების ვადების, უზრუნველყოფის სახეობის, საკრედიტო ინსტრუმენტების, რისკის ხარისხის, რეგიონების, საქმიანობის სახეობის, აგრეთვე დადგენილი შიდა ლიმიტების საფუძველზე რიგი სხვა ნიშნების მეშვეობით არის შესაძლებელი. რა თქმა უნდა, კრედიტების დივერსიფიცირება ბანკის საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს, მაგრამ საკრედიტო პორტფელის ზედმეტად დივერსიფიცირება რისკის მართვაში დამატებით სიძნელეებს ქმნის და მისი გართულების მიზეზებიც კი შეიძლება გახდეს შეფასებისას.

რისკების ნეიტრალიზაციის ერთ-ერთი მეთოდია **რისკების დაზღვევა**. ფინანსური რისკების დაზღვევა არის პროცესი, რომლის დროსაც სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეული ფირმის მიერ გარკვეული შენატანების ფასად ვალდებულებას იღებს აუნაზღაუროს ფირმას ფინანსური რისკის წარმოქმნის შემთხვევაში გამოწვეული ზარალი (დანაკარგი). ფირმასა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის იდება სადაზღვევო ხელშეკრულება. სადაზღვევო ორგანიზაციები აზღვევენ ფირმების შემდეგ ფინანსურ რისკებს: გაკოტრება, გაუთვალისწინებელი ხარჯები, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, სასამართლო ხარჯები და სხვა. ამგვარად, იმ მოვლენათა სია, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფინანსური ზარალი, საკმაოდ ფართოა. ფინანსურ რისკების დაზღვევა მიეკუთვნება ქონებრივ დაზღვევას.

რისკების მართვის მეთოდია **თვითდაზღვევაც**. ასეთ დროს, ფირმა საკუთარი ან მოზიდული სახსრებით ქმნის რისკის ფონდს და რისკის დადგომის შემთხვევაში, მისით ფარავს მიღებულ ზარალს. თვითდაზღვევას ფირმა მაშინ მიმართავს, როცა მისი უპირატესობა აშკარაა დაზღვევასთან შედარებით, ანდა

მაშინ, როცა რისკის შემცირება ან მისგან მიყენებული ზარალის დაფარვა სხვა მეთოდებით შეუძლებელია.

თვითდაზღვევას აქვს ეკონომიკური და მმართველობითი ხასიათის უპირატესობები. ეკონომიკურ უპირატესობებს შორის მთავარია იმ თანხების ეკონომია, რომელსაც ფირმა დაზოგავს გარე დაზღვევაზე უარის თქმით და გამომდინარე სადაზღვევო გადასახდელის (პრემია) არ გადახდით. მმართველობით უპირატესობებში კი მნიშვნელოვანია: რისკების მართვის მობილურობა, ფულის ნაკადებზე უშუალო კონტროლი და სხვა.

თვითდაზღვევას უარყოფითი მხარეებიც აქვს. ასეთია მაგალითად, დამატებითი ორგანიზაციული ხარჯების გაწევა. როცა ფირმა თვითდაზღვევა, ამ საქმის წარსამართავად, მას სჭირდება დამატებითი შტატები, რაც ხელფასის გარდა, მოითხოვს სხვა ხარჯებსაც. ასე რომ, ამ მეთოდის არჩევისას ფირმამ ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ რისკი და თანაც დიდი რისკი შეიძლება დადგეს მანამ, სანამ ფირმას რისკის ფონდში საკმარისი თანხები დაუგროვდება. ამ შემთხვევაში, ფირმა ვერ დაფარავს რისკისგან მიღებულ ზარალს და გაკოტრდება. ეს საშიშროება არ ელოდება მას გარე დაზღვევის არჩევისას. უარყოფითია ინფლაციის ფაქტორიც, რომელსაც შეუძლია მისი რისკის ფონდის არსებითი შემცირება. რისკების სამართავად თვითდაზღვევის არჩევის დროს, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია. მხოლოდ ამ ფაქტორების სათანადო შემოწმებით და აწონ-დანონვით უნდა გააკეთოს ფირმის ფინანსურმა მენეჯერმა რისკების მართვის თვითდაზღვევის და დაზღვევის მეთოდებს შორის არჩევანი.

კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული სავალუტო რისკის მართვის ინსტრუმენტები წარმოადგენენ საბანკო დაზღვევის ერთ-ერთ პროდუქტს, რომელსაც კონკრეტული ფასი გააჩნია, თუნდაც სავალუტო ფორვარდული გაცვლითი კურსის გამოთვლა ხდება შესაბამისი კალკულაციის საფუძველზე. ფორვარდული კურსი დამოკიდებულია შესასყიდი/ გასასყიდი ვალუტის მიმდინარე გაცვლით კურსზე და ამ ორი ვალუტის საპროცენტო განაკვეთების სხვაობაზე. მაგალითად, თუ

საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე ნაკლებია ლარის საპროცენტო განაკვეთებზე, უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდოს ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო მაღალი კურსით. თუ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მაღალი აღარის საპროცენტო განაკვეთებზე, უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდოს ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო დაბალი კურსით.

ფორვარდული კურსი არ წარმოადგენს კონკრეტულ ვალუტებს შორის გაცვლითი კურსის პროგნოზს, არამედ ის არის ამ ვალუტების შესაბამისი საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობიდან გამომთვლილი გაცვლითი კურსი. გარდა ამისა, ფორვარდებით სავალუტო რისკების მართვას გარკვეული ზარალიც ახასიათებს, კერძოდ:

1. უცხოური ვალუტის ფორვარდული შესყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა თუ ვალუტირების დღეს მიმდინარე სავალუტო გაცვლითი კურსი დაბალია წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე.

2. უცხოური ვალუტის ფორვარდული გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა დაკარგოს პოტენციური მოგება, თუ ვალუტირების დღეს სავალუტო გაცვლითი კურსი მაღალი იქნება წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე. ორივე შემთხვევაში ჩანს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ყიდვა/ გაყიდვასთან დაკავშირებული ზედმეტი დანახარჯები. თუმცა, ეს არის მცირე ფასი, რომელიც კომპანიებმა შეიძლება გადაიხადონ უსაფრთხოებისა და განუსაზღვრელობის შემცირების სანაცვალოდ, მაგრამ აღნიშნული „მცირე ფასიც“ საკმაოდ ძვირია ქართველი მომხმარებლისათვის... გამომდინარე ზემოთ თქმულისა, ბანკის მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელია²⁶:

- კომერციულმა ბანკმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდოს თავის მომხმარებლებს სავალუტო რისკებისა და მათი მართვის შესახებ;

²⁶ ნ. შონია სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში ყ. ბიზნესი და კანონმდებლობა N1, 2013, გვ.25

- დაინერგოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საქართველოში;
- გაიაფდეს საბანკო კრედიტები შეძლებისდაგვარად. და ბოლოს, რჩევები კომერციული ბანკის მომხმარებლებს:

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა. დღესდღეობით გაიცემა შემდეგი სახის ფინანსური გარანტიები: წინასატენდერო გარანტია, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა, საბაჟო გარანტია, TIR-ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია. პროდუქტის განვითარებისთვის ხელის შემშლელი ფაქტი იქნება, პირველ რიგში, თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია ისე არ აანაზღაურებს ზარალს, როგორც გარანტიაში აქვს განერილი და ეს უკვე გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის დაკარგვას. სწორედ სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის არარსებობის ბრალია, რომ ბევრი ბენეფიციარი მხოლოდ ბანკიდან წარმოდგენილ ფინანსურ გარანტიას ითხოვს, რაც ხელს უშლის სადაზღვევო ბაზარზე ამ პროდუქტის განვითარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროდუქტის უმთავრესი ნაკლია ის გარემოება, რომ ის არ არის მხოლოდ დაზღვევის პროდუქტი და მისი გაცემა ბანკებსაც შეუძლიათ.

ამრიგად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა ნაკლებადაა განვითარებული. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გასცემს ფინანსურ გარანტიებს. სადაზღვევო ბაზარზე საერთოდ არ არსებობს ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტი, რომლის გაცემა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პრეროგატივაა. ბანკები იყენებენ შიდა რისკმენეჯმენტს, რომელსაც არეგულირებს ეროვნული ბანკი. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების დაზღვევაში ბანკები გვევლინება სადაზღვევო კომპანიების კონკურენტებად. სადაზღვევო სფეროში ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარების ხელის შემწყობ ფაქტორად შეიძლება

განვიხილოთ პროექტების ზრდა, რომლებზედაც გამოცხადდება ტენდერები. ასევე მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ამით მეწარმე შეეცდება, ფინანსური გარანტიის საჭიროებისას მიმართოს არა ბანკს, არამედ სადაზღვევო კომპანიას.

დასკვნა

საბანკო რისკები რთული რისკებია. ერთი მხრივ, ისინი ეკონომიკური რისკების სისტემაში იმყოფებიან და ამიტომ განიცდიან სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას, მეორე მხრივ, ისინი დამოუკიდებელი რისკებია და კომერციული ბანკების საქმიანობაზე არიან დამოკიდებული .

საბანკო სისტემის შესახებ კლასიკური მოძღვრება ეყრდ-ნობა იმ სამი წამყვანი კრიტერიუმის არსებობას, რომლებსაც ბანკები უნდა ითვალისწინებდნენ: ლიკვიდობა, რენტაბელობა და უსაფრთხოება. რისკის მიზეზები მეტად მრავალფეროვანია: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო დავალიანების ზრდა,

ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის დანახარჯების ზრდა და სხვა. საბანკო რისკების ტრადიციული სტრუქტურა გულისხმობს შიდა და გარე რისკების გამოყოფას. გარე რისკები ორ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი - ლიკვიდობის რისკები; II ჯგუფი - წარმატების რისკები.

თავიანთი ბუნებით ბანკები საიმედოობასა და უსაფრთხოებას უნდა განასახიერებდნენ. ამიტომ რისკების მართვის პროცესის ორგანიზაცია რისკების თავიდან აცილების, რეგულირებისა და მინიმუმაციის მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი უნდა იყოს. ბანკის მიერ გატარებული რისკების პოლიტიკა ის ღონისძიებებია, რომლებსაც დასახული მიზნების მისაღწევად მიმართავს ბანკი. უსაფრთხოების მიზნით ყოველი ბანკი ატარებს რისკისგან დამცავ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სწორედ რისკების პოლიტიკის შინაარსს შეადგენენ. იგი ორი მიმართულებით ხორციელდება:

- 1) რისკის თავიდან აცილება;
- 2) გარდაუვალი რისკების შერბილება.

საკრედიტო რისკის მინიმუმებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მისი შეფასების მეთოდების გარკვევას ყოველი ცალკეული სესხის მსესხებლის მიხედვით და მთლიანად ბანკის 9საკრედიტო პორტფელის0 დონეზე. მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებას უწოდებენ მისი ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი მახასიათებლების შესწავლასა და შეფასებას. საკრედიტო რისკის შეფასების სამუშაოს ბანკში სამ ეტაპად ატარებენ. პირველ ეტაპზე ახდენენ მსესხებლის საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შეფასებას, მეორეზე - რაოდენობრივ მაჩვენებელთა, ხოლო ბოლო ეტაპზე, - კრებსითი შეფასება, - პროგნოზის მიღებას და საბოლოო ანალიტიკური დასკვნის ჩამოყალიბებას.

რისკების განსაკუთრებით კი საკრედიტო რისკის დივერსიფიკაცია წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. სწორედ ის ბანკები, სადაც საკრედიტო რისკების დიდი კონცენტრაცია შეიმჩნევა ხშირ შემთხვევაში სერიოზული ფინანსური პრობლემების მატარებელი ხდებიან.

ბანკი, ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სახის რისკების თავისდროულ გამოვლენას, კონტროლსა და მინიმიზაციას ახორციელებს, რომელიც მის ფინანსურ საიმედობას ემუქრება. რისკების მინიმიზაციის მიღწევას სტაბილურობამდე მივყავართ, სტაბილურობას კი - ნდობის მოპოვებამდე, ხოლო თვით ნდობა - საბანკო ბიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საკრედიტო პორტფელის ანალიზისას დღეს მრავალი ბანკი ახორციელებს კრედიტების რანჟირებას, იყენებს ხარისხისა და რისკის მახასიათებლების შესაბამისად სასესხო პორტფელის სისტემატურ და ობიექტური კლასიფიკაციის მეთოდს.

გამოყენებულ ლიტერატურა

საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=37>

2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კონსოლიდირებული ვერსია
(საბოლოო) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=34>
3. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე
https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF


სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბერიძე რ. „საბანკო მენეჯმენტი“ თბ. 2009
2. ბენიძე ნ, შონია ნ, ბინაძე ჯ, „რისკები და დაზღვევა“, თბ., 2010
3. გელაშვილი მ., რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N 2, 2018
4. კაკულია რ. „საბანკო საქმე „ თბ. 2010
5. კაკულია რ. „ეკონომიკური დ ფინანსური რისკების მართვა“ თბ. 2012
6. კოვზანაძე ი., გოგი კონტრიძე -თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014
7. მოსიაშვილი ვ. „საბანკო საქმის საფუძვლები“ თბ. 2010
8. მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები თბ., 2012
9. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თბ. სეზანი, 2014
10. გელაშვილი მ., რისკების მართვა კომერციულ ბანკებში უ. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N 2, 2018
11. შონია ნ. სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში უ. ბიზნესი და კანონმდებლობა N1, 2013
12. შიუკაშვილი მ., რისკების მართვა საბანკო სისტემებში - წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2015
13. ქოქიაური ლ, „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, თბ., 2010

14. ქოროლიძევილი ც. საფინანსო სისტემებში რისკების პროგნოზირება ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენებით" წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2015
15. ქოროლიძევილი ც. იმიტაციური მოდელირების გამოყენება საფინანსო რისკების მართვაში. სტუ მართვის ავტომატიზებული სისტემები №2(13), თბილისი, 2012
16. ცაავა გ. და სხვები. - რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა, „გრაალი“, 2018
17. ლუდუშაური ლ, კრედიტი და თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., 2002

დანართი


დიაგრამა N 1 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით




ცხრილი N 1 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2017 წლის ბოლოს არსებული კურსით)

	დეკ-17		დეკ-18		ცვლილება %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %	
კორპორატიული სესხები	6,824	31%	7,927	30%	16.2%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	5,176	23%	6,525	25%	26.1%
საცალო სესხები	10,282	46%	11,793	45%	14.7%
სულ:	22,282	100%	26,245	100%	17.8%


დიაგრამა N2 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით



დიაგრამა N3 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში



დიაგრამა N 4 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში



ცხრილი N.2 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი /პორტფელი
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.0%	3	.1	2.1%
საფინანსო ინსტიტუტები	1.6%	422	9	2.2%
ლომბარდული სესხები	2.0%	531	26	4.9%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	2.2%	597	50	8.4%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	4.6%	1,235	50	4.0%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.9%	507	48	9.4%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.7%	712	26	3.7%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	3.7%	990	44	4.4%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	3.9%	1,031	59	5.7%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	0.8%	225	9	4.2%
ფესხაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	0.6%	150	6	3.9%
ვაჭრობა (სხვა)	3.9%	1,036	53	5.1%
წარმოება (სხვა)	3.0%	793	34	4.3%
სასტუმროები და ტურიზმი	4.2%	1,117	43	3.8%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.2%	331	18	5.3%
მძიმე მრეწველობა	1.7%	450	18	4.1%
ბენზინგასამართ სადგურებსა და ბანზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	1.1%	284	14	4.9%
ენერჯეტიკა	3.7%	982	31	3.1%
ავტომობილების დილერები	0.6%	153	27	17.6%
ჯანდაცვა	1.9%	505	13	2.7%
ფარმაცევტიკა	0.4%	115	9	7.8%
ტელეკომუნიკაცია	1.6%	415	12	2.9%
სერვისი	4.4%	1,166	57	4.9%
სოფლის მეურნეობის სექტორი	4.9%	1,307	68	5.2%
სხვა (ჯარათის ბიზნესის ჩართვით)	2.0%	531	55	10.3%
საცალო პროდუქტები	41.4%	11,010	521	4.7%
ავტო-სესხები	0.3%	76	3	4.4%
სამომხმარებლო სესხები	15.3%	4,062	238	5.9%
მომენტალური განვადება	1.2%	329	32	9.7%
ოვერდრაფტები	0.3%	74	6	8.2%
საკრედიტო ბარათები	2.1%	554	32	5.8%
სესხები ბინის რემონტისათვის	1.8%	470	15	3.2%
იპოთეკური სესხები	20.5%	5,444	194	3.6%
საკრედიტო პორტფელი (ბანკთაშორისი სესხების გარეშე)	100.0%	26,597	1,300	4.9%

დიაგრამა N 5 კომერციული ბანკების საბალანსო და კრეფსითი სავალუტო პოზიციები საზღვარსცივლო კაპიტალთან

